ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 173 (12 548) 25 ივლისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 14 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რუმენიგემ ბლატერს შეუტია

გაგვაგებინეთ, რისი უფლება აქვთ კლუბებს?

»»» 5

## სკოლარის სკოლა

ანუ შესაძლებლის მაქსიმუმი

»»» 8-9





# ჰექტორ კუპერი: ქართველებთან არ ვიმუშავებ

»»» 2

# ნოდარ ახალკაცი: კუპერს ჩემს დავთრებში ჯერ ვერ ვხედავ

## ახალკაცში სეგრტი კრთის

ინტერვიუ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან »»» 2






# მარადონა ბურთს თბილისშიც აკენწლავს?

»»» 3

# არგენტინელმა პირობა შემოთვალა: ქართველებთან არ ვიმუშავებ

წუხელ, ფეხბურთის ფედრაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** ესპანეთიდან გამობრუნდა და დღეს ალბათ, წვრილად მოუყვება ფედრაციის დანარჩენ მაღალჩინოსნებს იმ მოლაპარაკებებზე, რომელიც მან ექტორ რაულ კუპერის აგენტთან გამართა მადრიდში.

სანდო და კონფიდენციალური წყაროდან უკვე შევიტყვეთ რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი. კუპერისთვის ძალიან საინტერესოა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა და თანხმაა, თბილისში ჩამოვიდეს. არგენტინელი მწვრთნელი იმ გასამრჯელოსაც ყაბულსაა, რასაც მას ქართული მხარე სთავაზობს და არც საქართველოში ცხოვრებას ითაკილებს, ოღონდაც...

კუპერმა აქეთაც წამოაყენა პირობა - თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გავხდები, ორ თანაშემწეს მე მოვიყვან, მესამეზე კი იქნებ კომპრომისს მივაღწიოთო. მოკლედ, კუპერს ასისტენტებად თავისი ხალხი სურს და შესაძლოა, ეს ფეხბურთის ფედრაციის ზოგიერთ ხელმძღვანელს ეხამუშოს.

რაც შეეხება თანხას, კუპერთან მოლაპარაკებამდე ფედერაციის პოზიცია ასეთი იყო - ნაკრების მწვრთნელს წელიწადში მილიონ დოლარზე მეტს არ გადავუხდით.

საკითხავია, მოასწრებს კუპერი ორშაბათის ალმასკომის სხდომამდე თბილისში ჩამოსვლას - მწვრთნელის საკითხი ხომ 28 ივლისს უნდა გადაწყდეს.

**დავით თავართქილაძე**

# კუპერის გზა

## სამი მარცხიანი ევროფინალი



**არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი** 52 წლისაა და სამუშაოს ეძებს, უფრო სწორად, არჩევს - სახელიან და რეკლამირებულ მწვრთნელს ყოველთვის აქვს შემოთავაზებები და მათგან საუკეთესო უნდა აირჩიოს.

ფეხბურთელობისას კუპერი მცველი გახლდათ და დიდ გუნდებში არასდროს უთამაშია. "ფერო", "ინდეპენდიენტე რივადავია" და "ურაკანი." თუ ისტორიას ჩავუკირკიტებთ, შევიტყობთ, რომ "ფეროში" თავის დროზე **რობერტო აიალას** უთამაშია, "ურაკინში" კი თვით **ალფრედო დი სტეფანოს** ევროპაში გადაბარგებამდე.

1984-86 წლებში კუპერმა არგენტინის ეროვნულ ნაკრებში ხუთი მატჩი ითამაშა და **კარლოს ბილარდოს** თავი ვერ მოაწონა - მექსიკა 86-ზე არ წაიყვანეს.

ფეხბურთელობას თავი რომ დაანება, ერთი წლის შემდეგ კუპერმა მწვრთნელობა დაიწყო და "ურაკინი" ჩაიბარა. სამი წლის შემდეგ "ლანუსს" ჩაუდგა სათავეში, თუმც მნიშვნელოვან წარმატებას ვერც იქ მიაღწია. კუპერს თითქოს ასპარეზი არ ყოფნიდა, საკუთარი თავი გამჭრიახ მწვრთნელად მიაჩნდა და ამბობდა, არგენტინაში ბოლომდე ვერ ვიხსნებიო.

ჰექტორ რაული ესპანეთში ჩავიდა და მოკრძალებულ "მალიორკაში" მოეწყო. ცხადია, "მალიორკისგან" ფურორს არავინ ელოდა, მაგრამ კუპერმა პირველივე ესპანურ სეზონში ცას ვარსკვლავი მოსწყვიტა - გუნდი ესპანეთის თასის ფინალაში გაიყვანა, სადაც პენალტების სერიაში დამარცხდა "ბარსელონასთან". იმავე წელს ესპანეთის სუპერთასში კი რევანში აიღო - ორი მატჩის ჯამში აჯობა კატალონიელებს - 1:0,1:2.

ასე შექმნა საკუთარი თავი კუპერმა და მომდევნო სეზონში ევროპულ სარბიელზეც იჩაუქა - "მალიორკა" თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა, სადაც "ლაციოსთან" 1:2 დამარცხდა. ეს კუპერის პირველი მარცხიანი ევროფინალი იყო.

იმავე, 1999 წელს კუპერი სახელიანმა "ვალენსიამ" მიიწვია. სწორედ ამ კლუბში მიაღწია მან უდიდეს წარმატებას, თუმც უიღბლო მწვრთნელის სახელიც შეიქმნა. 2000 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მადრიდის "რეალთან" წააგო (0:3), მომდევნო სეზონში კი მიუნხენის "ბაიერნთან" (1:1, პ,4:5). სულ სამი წაგებული ევროფინალი.

ესპანეთზე გულაცრუებულმა კუპერმა იტალიას მიაშურა და "ინტერნაციონელე" ჩაიბარა. ეს ის დროა, "მილანის "ინტერი" დაწყევლილ გუნდს რომ ჰგავს, აქვს ბევრი ფული, ჰყავს კარგი ფეხბურთელები, თუმც ჯილდოს ვერ იგებს. გათვლა კუპერზე გაკეთდა, მაგრამ ჰექტორ რაული ისევ უტიტულოდ დარჩა. მეორე და მესამე ადგილი სერია A-ში, 2003 წლის გაზაფხულზე კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე გაიყვანა "ინტერი", სადაც "მილანთან" დამარცხდა (0:0, 1:1).

იტალიის შემდეგ კუპერმა ერთი სეზონი დაისვენა და ისევ "მალიორკაში" მიიწვიეს. გუნდი გასავარდნ ზონაში იყო და კუპერისგან ხსნას მოითხოვდნენ. კუპერმა საქმეს თავი გაართვა და მომდევნო, 2005-06 სეზონიც "მალიორკაში" დაიწყო, თუმც გუნდი ვერ გაძლიერდა ახალი ფეხბურთელებით, ისევ მაჩანჩალათა შორის იყო და კუპერმა "მალიორკა" შუა სეზონში მიატოვა.

2007-08 სეზონისთვის ექტორ რაულმა "ბეტისი" ჩაიბარა, სადაც მისი მუშაობა არ მოეწონათ და რამდენიმე თვის შემდეგ დაითხოვეს. წლეულს, მარტში სერია A-დან არგავარნისთვის მებრძოლ "პარმაში" მიიწვიეს, მაგრამ პარმელებს კუპერმა ვერ უშველა, ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მიაბრძანეს იქიდან, ათი თამაშიდან მხოლოდ ორი რატომ მოიგეო. "პარმა" სერია A-დან გავარდა.

კუპერს არასდროს გაუწვრთნია რაგინდარა ნაკრები.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ნაკრები. სამწვრთნელო საკითხი. ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# თუ კუპერს საქართველო უნდა, ორშაბათამდე უნდა ჩამოვიდეს

**ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და აგენტი აკა ტონია მადრიდში გაფრინდნენ და ექტორ რაულ კუპერის აგენტთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. რამდენად რეალურია კუპერის დანიშვნა საქართველოს ნაკრებში, როგორია ფედერაციის კონცეფცია და რა ფაქტორები იქნება პრიორიტეტული. ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მივმართეთ.**

- ვნახოთ, თუ რა შედეგს მოიტანს კუპერთან მოლაპარაკება. ფედერაციის პოზიცია ცალსახაა - ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი აუცილებლად ნამყოფი უნდა იყოს საქართველოში და აქაურ ინფრასტრუქტურას იცნობდეს. თუ კუპერს აქვს სურვილი, ჩვენი ნაკრების თავკაცობის კანდიდატად განიხილებოდეს, მაშინ ორშაბათამდე, ფედერაციის ალმასკომის სხდომამდე უნდა გვეწვიოს საქართველოში. ჩვენ მხოლოდ იმ ნიშნით არ ვარჩევთ მწვრთნელს, რომ უცხოურ კლუბებში მუშაობის გამოცდილება აქვს.

**- ე. ი. კუპერთან საბოლოო მოლაპარაკებები თბილისში შედგება?**

- ჯერჯერობით, მასთან ზოგადი საუბრები მიდის. ფედერაცია, რომელიც საკუთარ იმიჯსა და ხალხს პატივს სცემს, სწორედ ასე მუშაობს - ჩამოვიდეს კუპერი, გაეცნოს ინფრასტრუქტურას, გარემოს და აქ გავმართავთ საბოლოო მოლაპარაკებებს.

**- ამჟამად რამდენი კანდიდატია ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე?**

- სეგრტი და ფინკე. თუ კუპერი ჩამოვა, ისიც სრულფასოვანი კანდიდატი იქნება.

**- ფინკე ჩამოსული იყო და ესაუბრეთ. პეტარ სეგრტთან თუ გქონდათ კონკრეტული საუბარი სავარაუდო კონტრაქტთან დაკავშირებით?**

- სეგრტი უკვე ორი წელიწადია, ჩვენთან მუშაობს. ის თავდაპირველად სკაუტი იყო, მერე ახალგაზრდულის თავკაცი. მაისში კი ათდღიანი შეკრება ჰქონდა და ორ ამხანაგურ მატჩში უხელმძღვანელა ეროვნულ გუნდს. მუშაობისას ის დეტალებს აკვირდებოდა, რომლის დანახვას გარკვეული ცოდნა-გამოცდილება და პროფესიონალის თვალი სჭირდება. ამასთან, ის ფედერაციის ტექნიკური დირექტორიცაა და საორგანიზაციო საკითხებსაც ჩინებულად უძღვება.

ჩვენ სამი წლის წინათ დავიწყეთ სანაკებო ფეხბურთში საქმის გამოსწორება. რეალურად შვიდწლიანი ჩავარდნა არსებობდა, რომელიც სამ წელიწადში აღმოვფხვერით. ჩვენი კურსი დღეს ასეთია, ახალგაზრდა ფეხბურთელების განვითარება და შერწყმა გამოცდილ მოთამაშეებთან. ანუ ის, რაც მაის-ივნისში გავაკეთეთ. სწორედ ამ კონცეფციაში უნდა ჩაჯდეს ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი. ისეთ მწვრთნელს ვერ დავნიშნავთ, რომლისთვისაც პრიორიტეტი არ იქნება ეროვნული ჩემპიონატი და აქ მოასპარეზე ახალგაზრდა ფეხბურთელები. სწორედ ამიტომ გვინდა, ნაკრების თავკაცობის ყველა კანდიდატი ჩამოვიდეს და კონცეფციაზე დეტალურად ვისაუბროთ.

**დავით ცაბაძე**



ნოდარ ახალკაცი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**. ნომრის მორიგე რედაქტორი **დავით თავართქილაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეტროგრადული დაჟინება: მიყვარდა, ცუდი სიტყვაა






- გტკივა? მაშასადამე, გიყვარს!
- გახსოვს? ესე იგი გიყვარს!
- გული შეგტკივა? რა თქმა უნდა, გიყვარს!

რეტროგრადისთვის ვინძლო ის უფრო მნიშვნელოვანია, "დინამომ" როგორ ნაავო სოფელ რუნავიკის გუნდთან, ვიდრე ვინ გახდება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი - სეგრტი, ფინკე, კუპერი თუ კიდევ ვილაც. ნაკრები საქართველოსთვის ისეთი რალაცაა, რომლის გულშემატკივრობის კულტურა ჯერაც ვერ ავითვისეთ, "დინამოს" სიყვარული და ქომაგობა კი ვიცოდით და როგორც გურამ გეგეშიძე წერდა, "მიყვარდა" ძალიან ცუდი სიტყვაა, რადგან ვინც გიყვარს, ის სულ გიყვარს.

ეს მაინც მწერლური თეორიაა და ბევრი იქნებ, არ დაეთანხმოს. ბევრს არ უვლია "დინამოს" თამაშებზე მაშინ, როცა ბილეთის შოვნა ძალიან ძნელი იყო; ბევრს არ შეუწუხებია თავი "დინამოს" დუბლების მატჩებზე სასიარულოდ დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე, ბევრს არ ჰყვარებია "დინამო" და ძნელია, მათი დარწმუნება იმაში, რომ "მიყვარდა" ძალიან ცუდი სიტყვაა.

ესეც რომ არა, ერთნაირად საინტერესო და ამაჩქროლებელი ვერ იქნება "იუვენტუსისა" და "ბოლონიას" ამბები, მადრიდის "რეალისა" თუ "რაიო ვალეკანოს" სატრანფერო პერიპეტიები, მიუნხენის "ბაიერნისა" თუ როსტოკის "ჰანზას" სამომავლო გეგმები. ასე იყო ქართული საზომითაც, "დინამოს" ჩვენთან ვერავინ შეედრება და რუნავიკული მარცხიც უფრო რეზონანსული ამბავი გამოდგა, ვიდრე, მაგალითად, "ამერის" დაქვეითება პირველ ლიგაში.

**ნერტილდასმული არ არის, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში - თერთმეტი ან ნაკლები - სადღეისოდ ასეთია ვითარება.** სახელმწიფომ ორი მილიონი ლარი გამოუყო უმაღლესი ლიგის გუნდებს, მაგრამ ეს თანხა 2008-09 სეზონის შედეგების მიხედვით განაწილდება - მეტი იმას შეხვდება, ვინც უკეთეს ადგილს დაიკავებს ანუ, მდიდარ კლუბს უფრო მეტი შეხვდება, ვიდრე ღარიბს და ვითომ ეს გამოასწორებს საქმეს? თუ თანხას გამოდიხარ, ბარემ ახლავე დაურიგე კლუბებს, რათა ჩემპიონატი ნორმალურად ჩატარდეს - ასეთი ვარიანტი ხელისუფლებას არ მოეწონა.

ფულზე მთავარი ალბათ, ნაცრისფერი ნივთიერებაა - ტვინი თუ არ არის მოქცეული სწორად, ფული დიდად ეფექტური ვერ იქნება - ამას ქართული ფეხბურთის ბოლო ამბავ-ხაბარიც ადასტურებს. კენტრიცხვა ჩემპიონატამდეც კი მივედით.

ლევან მჭედლიძე ტურინის "იუვენტუსს" სურს - წარმოიდგინეთ, რა დაშ-ხოშიანი რამე იქნება, ქართველი თავდამსხმელი "იუვენტუსისთვის" თუ გაიტანს გოლებს. მჭედლიძე ძალიან კარგი მაგალითია ქართველი თინეიჯერებისთვის, მან ყველაფერს თავის ნიჭითა და შრომით მიაღწია, ის გამორჩეულია თავის ქცევითა და ნატურით, არ არის ჩვეულებრივი ბიჭი და ფეხბურთსაც გამორჩეულად თამაშობს.

გამორჩეული იყო ალეკო ამისულაშვილიც, როცა თბილისის "დინამოში" თამაშობდა, მერე კი რამდენიმე წლით ჩაიკარგა და ზოგმაც დაიჯერა, რომ ვერ დაალწევდა თავს ჩავარდნას, მაგრამ ახლა რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ამისულაშვილის ამბავი ქუთაისის "ტორპედოთი" დაიწყო, მაგრამ სახელი "დინამოთი" შეიქმნა.

**მოკლედ, ისევ "დინამო" და დაჟინება, რომ "მიყვარდა" ძალიან ცუდი სიტყვაა.**

მარადონას თასი. პრესკონფერენცია

# რატომ ეძებს მარადონა ცნობებს საქართველოზე

ორშაბათს, არგენტინიდან **ედუარდო დელგადო** გვეწვია. მისი სტუმრობის მიზანი თბილისში, ოქტომბრის ბოლოს, საერთაშორისო ოთხთა ტურნირის, დიეგო მარადონას თასის გათამაშების ორგანიზება გახლავთ. გუშინ, ეროვნულ სტსდიონზე გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამას მიეძღვნა. ტურნირის ორგანიზატორებმა, **ნიკო პატარქალიშვილმა და ედუარდო დელგადომ** საორგანიზაციო შტაბი ჩამოაყალიბეს და სხვა საგულისხმო დეტალებიც გააჟღერეს.

ნიკო პატარქალიშვილი - მარადონას თასის გათამაშების თბილისში ჩატარებაზე მუშაობა ჯერ კიდევ ზამთარში დავიწყე. მალე არგენტინასა და ბრაზილიაში გავემგზავრე მოლაპარაკებებზე. ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებების მონაწილეობაზე მარადნას თასის გათამაშებაში თანხმობა მივიღე. არგენტინის, ბრაზილიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების გარდა, გვინდა მეოთხე მონაწილე ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრები იყოს. ამ საკითხზე ესპანელებთან უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები. მანამდე შეხვედრა მქონდა დიეგო მარადონას წარმომადგენელ ალეხანდრო მანკუსოსთან და მისგან მივიღე თანხმობა მარადონას თბილისში ჩამოსვლასა და ამ ტურნირზე დასწრებაზე.

შეთანხმების მიხედვით გვინდოდა ეს ტურნირი 23-29 ოქტომბერს ჩაგვეტარებინა, მაგრამ გუშინ თბილისის მერიაში გვქონდა შეხვედრა და გეგმების შეცვლა მოგვიწევს. მთავარია, ამ პროექტს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. მერიაში გვთხოვეს, თბილისობა 25-26 ოქტომბერს ტარდება და თუ შესაძლებელია, მარადონას თასის გათამაშება 26 ოქტომბერს დასრულდესო. ეს პრობლემა არ იქნება, ტურნირი 20-26 ოქტომბერს ჩატარდება.

მე და დელგადო მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ლელა კილაძეს შევხვდით. თბილისის მერიამ გარკვეული ფინანსური დახმარება აღგვიქვა. 7-10 დღეში ბიზნესმენებთან გვექნება საუბარი და მჯერა, ამ პროექტში არაერთი ქართული კომპანია ჩაერთვება. შევხვდით "ფოლკსვაგენის" წარმომადგენლებს, ისინი ამ პროექტით დაინტერესდნენ.

უვე შევარჩიეთ სასტუმრო - მარადონა"თბილისი მარიოტის" საპრეზიდენტო ნომერში იცხოვრებს.

უკვე შევარჩიეთ ტურნირის საორგანიზაციო შტაბიც: **ირაკლი მეძმარიაშვილი** (ეროვნული სტადიონის დირექტორი), **მალხაზ ნორაკიძე** (სტადიონის დირექტორის მოადგილე), **ზაზა დოლიძე** (თბილისის მერიის სპორტის საქმეთა ხელმძღვანელი), **ავთანდილ ნოდია** კი ფინანსურ და საორგანიზაციო საქმეს გაუძღვება. **დავით ცაბაძე** და **ალეკო კაკაურიძე** მასმედიასთან ურთიერთობაში დაგვეხმარებიან. გვინდა, 50 ათასამდე კაცი მაინც დაესწროს ამ ტურნირს. ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვას სექტემბერში დავიწყებთ. თუ წლეულს ეს ტურნირი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მაშინ ექსკლუზიურ უფლებას მივიღებთ, მომდევნო სამი წელიწადის განმავლობაში ყოველწლიურად ჩავატაროთ თბილისში მარადონას თასის გათამაშება.

ედუარდო დელგადო - დიეგო მარადონას ძალიან გაეხარდა, როცა გაიგო, რომ შორეულ საქართველოში ის ძალზედ პოპულარულია და თბილისში მისი სახელობის ტურნირი ჩატარდება. ის სიამოვნებით დათანხმდა თბილისში ჩამოსვლას. უფრო მეტიც, უმალ ინტერნეტში დაიწყო საქართველოზე ცნობების მოძიება. ეს ტურნირი დიდი პრესტიჟი და სახელი იქნება ქართული ფეხბურთისთვის და მის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. იმედი მაქვს, ყველაფერი მაღალ დონეზე ჩატარდება.

**დავით ცაბაძე**



დიეგო არმანდო მარადონა




ნიკო პატარქალიშვილი და ედუარდო დელგადო პრესკონფერენციაზე

სამზადისი. ამხანაგური მატჩები

# სიონმა დავითაშვილი დაიმატა და ქვაჩახიასაც ელაპარაკება

## ბოლნისელებმა გრიგოლეთში იგოლავეს

გრიგოლეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის "სიონმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **ოთარ კორღალიძის** გუნდმა ამჯერად პირველ ლიგაში მოასპარეზე საჩხერის "ჩიხურა" გააცამტვერა - 6:0 . რაც შეეხება გოლებს, **შოთა ჯიქიამ** და **ირაკლი შენგელიამ** დუბლი მიითვალეს, **გივი დიდავამ** და **გიორგი ჯიქიძემ** კი თითო ბურთი გაიტანეს.

საჩხერელთა წინააღმდეგ ტრავმის გამო არ უთამაშია **ლევან შავგულიძეს.**

**ლადო კაკაშვილისა** და გივი დიდავას შემდეგ, "სიონმა" "ამერიდან" კიდევ ერთი ფეხბურთელი, **სულიკო დავითაშვილი** დაიმატა. შესაძლოა, "სიონში" მალე "ამერის" კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოჩნდეს. ჩვენი ინფორმაციით, მეკარე **ზურაბ ქვაჩახიასთან** მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ბოლნისელთა გუნდი ორმა მოთამაშემ დატოვა - ნახევარმცველმა **ზურაბ ავალიანმა** უზბეკეთს მიაშურა, ხოლო შუახაზელმა **ვლადიმერ უგრეხელიძემ** - აზერბაიჯანს.

კორღალიძის გუნდმა "ჩიხურასთან" ორი სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშა:

სიონი: **ბობლიაშვილი, სვანიძე, ქემოკლიძე, სილაგაძე, კაკაშვილი, ქურასბედიანი, დიდავა, ხუბუა, კოშკაძე, დავითაშვილი, ჯიქია.**

მეორე ტაიმში ითამაშეს: **გურგენიძე, ოქროპირიძე, ზ. ჭელიძე, ნაყოფია, ბ. ნოზაძე, სანიკიძე, ბაჯელიძე, გ. ჩივაძე, ალავიძე, ჯიქიძე, ი. შენგელია.**

გრიგოლეთში "სიონი" დასკვნით საკონტროლო მატჩს 28 ივლისს რუსთავის "ოლიმპთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**

# მესხეთმა მეზობელს ერთხელაც სძლია

ახალციხელებმა პირველ საკონტროლო მატჩში ბორჯომელებს 4:1 მოუგეს, მერე მუხრანში "გაგრასთან" მინიმალურად 0:1 დამარცხდნენ, გუშინ კი ბორჯომელები სტუმრად ერთხელაც დაამარცხეს - 2:1. აღსანიშნავია ის, რომ "მესხეთის" ახალწვეულმა **ბორის გონჩაროვმა ახალ გუნდში პირველი გოლი მიითვალა. გონჩაროვმა გუშინდელ** მატჩში საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. პირველი ბურთი კი საჯარიმო დარტყმით **დავით ინასარიძის** ანგარიშზეა.

**კობა თედიაშვილის** გუნდმა ბორჯომში ამ შემადგენლობით ითამაშა: **სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, თედიაშვილი, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, მემარნიშვილი, ვაშაკიძე, ინასარიძე, მ. თაყაძე, გონჩაროვი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ძამუნაშვილი, კობესაშვილი, ქოჩორაშვილი, გ. სუდაძე, ბეჟანიძე, სამადაშვილი.**

"მესხეთი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს 26 ივლისს "ვიტ ჯორჯიასთან" მცხეთაში ჩაატარებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ხოკერაშვილის გოლი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

U 19. ამხანაგური მატჩი

# ვლახები გავლახეთ

## სვანაძის წარმატებული დებიუტი

**საქართველო-რუმინეთი**

**2:0**

24.07. თბილისი. ამერი
500 მაყურებელი

1:0 ხუციძე (44. ფილიას პასით), 2:0 ხოკერაშვილი (51. სარაჯიშვილის პასით)

საქართველო: მაკარიძე, გეთიაშვილი, კაკუბავა (46. სარაჯიშვილი), ტატუნაშვილი, სალარიძე, ხუციძე (88. ბუკია), თარხნიშვილი, შონია (86. საცერაძე), იჩქიტი (46. კვეკვესკირი), როსტიაშვილი (72. ნემსაძე), ფილია (46. ხოკერაშვილი).

*სამთავარიგო:* ლოსაბერიძე

რუმინეთი: ფარშასი, სავინი, მუტი (89. მირონი), რაპა, კუკუ (37. ბარბოლოვიკუ), პოპესკუ (86. ჩიოკალტეუ), ალექსი (88. იონესკუ), მანუ, ალიბეკი (88. სანდუ), მატეი (55. რუსუ), სტეფოი

*სამთავარიგო:* ჰორვატი

გაფრთხილება: შონია (54), როსტიაშვილი (56), ალექსი (79)

არბიტრი: მ. მაისურაძე (საქართველო)

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს, უფრო სწორად, ამ ახლადჩამოყალიბებულ გუნდს, გუშინ, საერთაშორისო დებიუტი ჰქონდა. ეს თამაში სადებიუტო იყო გუნდის თავკაც **ზაურ სვანაძისა** და მისი შტაბისთვისაც (**გოჩა ჩიქოვანი, დავით გვარამაძე, მამუკა აბუსერიძე, რამაზ სვანიძე**). სასიხარულოა, რომ ეს დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. ვლახები მართლაც რომ გავლახეთ - არა მხოლოდ მოვუგეთ, არამედაც თამაშითაც აშკარად დავჯაბნეთ. ამიტომაც იყო ჩვენი გუნდის მისამართით "ამერზე" შეკრებილმა ქომაგობამ, მატჩის შემდეგ, ტაში და კომპლიმენტები რომ არ დაიშურა.

ეს მატჩი რამდენიმე მომენტის გამო იმედის მომცემი იყო. მეტოქეს ვაჯობეთ ტაქტიკით, გამძლეობით, სწორი თამაშით, ჟინით... საგოლე მომენტებზე არაფერს ვამბობ. გუშინ, ორი კი არა, ბარე ხუთი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა. მეტი რომ ვერ შევაგდეთ, ეს ნაწილობრივ სტუმართა მეკარის დამსახურებაცაა, მაგრამ საგოლე მომენტების ვერგამოყენებაც ხომ მნიშვნელოვანი ელემენტია.

თუმცა გამარჯვებულებს არ ასამართლებენ და სვანაძის ბიჭების მიმართ სამდურავი არაფერი გვაქვს. აფერუმ მათ გარჯასა და მონდომებას. თუმცა აქ ერთსაც დავამატებდით. ეს ჯერ კიდევ არაფერია, ამით არ უნდა დაკმაყოფილდნენ.

ახლა მატჩის მსვლელობაზეც ვთქვათ. გლდანში დაპირისპირებულმა სტუმარ-მასპინძელმა კლასიკური 4-4-2 სქემა აირჩია. პირველად ქართველებმა გაისროლეს რუმინელთა კარისკენ. ათიოდე წუთში **ხუციძის** დარტყმული მილიმეტრებით ასცდა ვლახების კარს. სვანაძის გუნდმა მალევე მოიპოვა ტერიტორიული უპირატესობა და სათამაშოშიც გარდასახა. თუმცა პირველი რეალური საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს. 22-ე წუთზე **ალიბეკმა** მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა, მაგრამ **მაკარიძემ** სწრაფი რეაქცია გამოავლინა და რთული ბურთი მოიგერია. ამან ქართველები გამოაცოცხლა. ჩვედნი ჭაბუკები კი გააქტიურდნენ, მაგრამ მეტოქეც არ იყო გულხელდაკრეფილი და თამაშმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა. თუმცა დროებით, ტაიმის ბოლო 5-10 წუთში მასპინძლებმა მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს და ფლანგიდან **ფილიას** ჩინებული პასი ხუციძემ გოლით დაამშვენა. 1:0.

მეორე ტაიმი სანახაობრივად უფრო მდიდარი აღმოჩნდა. ჩვენმა ჭაბუკებმა საწყისი წუთებიდანვე საჯარიმოში მიაჯაჭვეს მეტოქე და ამას შედეგიც მალე მოჰყვა. ხუციძის დარტყმული მცირედით კი ასცდა მიზანს, მაგრამ მალევე კიდევ ერთი გოლი ვიხილეთ. 51-ე წუთზე **სარაჯიშვილმა** გრძელი და გამჭოლი პასით **ხოკერაშვილი** მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ეს ჩინებული შანსი ხელიდან არ გაუშვა - 2:0.

მეორე გოლმა სტუმრები კი არ გატეხა, უფრო გაახელა, მაგრამ ქართველებმა მონდომების, სწორი თამაშისა და ტაქტიკის ხარჯზე სათამაშო უპირატესობა არ დათმეს. 62-ე წუთზე კიდევ ერთი უნდა გაგვეტანა - **შონიას** დარტყმული სტუმართა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე **როსტიაშვილმა** მცირედით ააცილა. 83-ე წუთზე შონია მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს და რუმინელთა კიპერმა ზედიზედ ორი დარტყმა მოიგერია. 86-ეზე **თარხნიშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმო ოდნავ გადასცდა კარს. 87-ე წუთზე **ვაჟა ნემსაძემ** იშვიათი პასით **მიხეილ ხოკერაშვილი** მეტოქის მეკარეს პირისპირ შეჰყარა. რუმინელთა კიპერმა ხოკერაშვილის ზედიზედ ორი დარტყმა მოიგერია. 90-ეზე თავად ნემსაძემ გაისროლა, მაგრამ სტუმართა კარი ძელმა იხსნა.

თამაშზე კი ვთქვით, მაგრამ ჩვენი გუნდის ცალკეულ ფეხბურთელებზეც უნდა მოგახსენოთ. უდავოდ გამორჩეული იყო როსტიაშვილი, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია. მის შემდეგ აუცილებლად ხოკერაშვილი უნდა დავასახელოთ. ხუციძისა და თარხნიშვილის გამოტოვებაც უსამართლობა იქნებოდა. საიმედო მეკარე მაკარიძე და მცველი კაკუბავა. მოედნის ხედვითა და ზუსტი პასით გამოირჩა ფილია. მცველი სარაჯიშვილი კი შეტევებშიც აქტიურად მონაწილეობდა. ნემსაძემ მხოლოდ 15-ოდე წუთი ითამაშა, მაგრამ კოჭებში ეტყობა, რომ ფართო დიაპაზონი აქვს. მთავარია, პროგრესი გააგრძელოს და მერე იქნებ მამამისზე, **გიორგი ნემსაძეზე** უკეთესი კარიერა ჰქონდეს. ჩვენმა ერთადერთმა ლეგიონერმა, მოსკოვის "დინამოს" დუბლებში მოასპარეზე **ირაკლი კვეკვესკირმა** მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა. მასაც კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ ზაურ სვანაძეს დავეთანხმებით, ცოტა გადაღლილი გვეჩვენა, ვნახოთ, შაბათს, რუმინელებთან გორის მატჩში როგორ წარმოჩნდება.



ანგარიში ირაკლი ხუციძემ (მარჯვნივ) გახსნა

**მატჩის შემდეგ**

**ზაურ სვანაძე:** *- ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. ყველას ვულოცავ ამ გამარჯვებას. ამ მატჩისთვის მხოლოდ ორი დღე ვემზადებოდით. ამ გუნდს უფრო მეტი შეუძლია და მჯერა, უკეთაც ვითამაშებთ. რუმინელებთან ეს ორი სპარინგი გუნდის შეთამაშებაში, საკუთარი ძალების რწმენასა და საერთაშორისო გამოცდილების შეძენაში დაგვეხმარება. ერთი სიტყვით, კარგია, რომ მოვიგეთ, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ.*

**ვაჟა ნემსაძე:** *- ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და გარჯაც დაგვიფასდა. კარგია, რომ მოედნის საფარმაც ხელი შეგვიწყო. რუმინელებთან ეს ორი თამაში აშკარად წაგვადგება. შაბათს გორშიც უნდა მოვიგოთ. ერთსაც ვიტყოდი, მადლობა გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის. ჩვენ მათ კიდევ არაერთხელ გავახარებთ.*

**მიხეილ ხოკერაშვილი:** *- მეტოქე არა მარტო დავამარცხეთ, თამაშითაც დავჯაბნეთ. მეტიც შეგვიძლია . საგოლე მომენტების რეალიზების მაჩვენებელი უნდა გავზარდოთ.*

**გიორგი მაკარიძე:** *- კარგი თამაში გამოვიდა. მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. მართალი გითხრათ, მეტოქისგან უკეთეს თამაშს ველოდი.*

**ირაკლი კვეკვესკირი:** *- პირველ ტაიმში მცირედით ვაჯობეთ მეტოქეს, მაგრამ მეორეში რუმინელები აშკარად დავჩაგრეთ. კი მოვიგეთ, მაგრამ უფრო ლოგიკური ხუთი თუ არა, ოთხი ბურთით გამარჯვება იქნებოდა.*

**დავით ცაბაძე**

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:

დაპირისპირება

# რუმენიგემ ბლატერს შეუტია

## კალე: გაგვაგებინეთ ერთხელ და სამუდამოდ, რისი უფლება აქვთ კლუბებს?!

ოთხშაბათს, ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** ოლიმპიადის თემას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ნებისმიერი კლუბი ვალდებულია, 23-წლამდელი ფეხბურთელები პეკინის თამაშებზე გაუშვას. ბლატერმა მიზეზად ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობა დაასახელა. საერთაშორისო საფეხბურთო (ფიფას) კალენდარში ოლიმპიური თამაშები შეტანილი არ არის, რასაც ბლატერი ასე ხსნის: *"ოლიმპიადა განსაკუთრებული შემთხვევაა და დამოუკიდებელი უნდა იყოს."*

ბლატერის ამ განცხადებას ევროპის კლუბთა კავშირის პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** (რომელიც ასევე "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტია) გამოეხმაურა. აი, რა თქვა კალემ: *"ბლატერს ჯერ კიდევ მარტში ვესაუბრე და მაშინ მისი პოზიცია ასეთი იყო: ოლიმპიური თამაშები ფიფას ოფიციალურ კალენდარში არ შედის. შესაბამისად, კლუბები არ არიან ვალდებულები, ფეხბურთელები თამაშებზე გაუშვან."*


კარლ ჰაინც რუმენიგე

ფაქტია, რომ კლუბებს დამოუკიდებლად უწევთ ფეხბურთელებისთვის ბრძოლა. მაგალითად, "ბარსელონას" - კატალონიელებს **ლიონელ მესის** გაშვება არ სურთ. "ლივერპული" მესის თანამემამულე **მასკერანოსთვის**, ბრაზილიელი **ლუკასისთვის** და ჰოლანდიელი **ბაბელისთვის** იბრძვის. როგორც იცით, გერმანიაში "შალკესა" და "ვერდერს" შეექმნათ პრობლემები. გელზენკირხენულ კლუბს **რაფინიას** გაშვება არ სურდა, ბრემენელები კი **დიეგოსთვის** იბრძოდნენ. "შალკესთვის", "ვერდერისთვის" და "ლივერპულისთვის" ეს საკითხი ასეთი პრობლემატური იმის გამოა, რომ ამ გუნდებმა აგვისტოში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა ითამაშონ. ამას გარდა, ესპანეთში, იტალიასა და ჰოლანდიაში ეროვნული ჩემპიონატები ოლიმპიადის შემდეგ იწყება. ესეც არ იყოს, იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრებები პეკინის თამაშებში მონაწილეობას იღებენ. ინგლისსა და საფრანგეთში კი, ოლიმპიადისთვის მზად მყოფი ფეხბურთელები კლუბებში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობენ ხოლმე.

### რუმენიგე შტუტგარტსაც მისდგა

რუმენიგემ "შტუტგარტსაც" შეუტია, ოღონდ უკვე "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტის რანგში. როგორც იცით, ბავარიელებს **მარიო გომესის** გადაბირება სურდათ, მაგრამ მერე უარი თქვეს - თითქოს იმიტომ, რომ შვაბურმა კლუბმა 23 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ ძალიან დიდი ფული მოითხოვა. მას მერე სამი კვირა გავიდა და ამ საკითხთან დაკავშირებით, არცერთ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია.

შტუტგარტულმა მხარემ განაცხადა, გომესს კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს და მისი გამოსყიდვა შეუძლებელიაო. ამ განცხადებას რუმენიგემ შემდეგი სიტყვებით უპასუხა: *"თავს ნუ იტყუებენ, გომესის კონტრაქტში არსებობს პუნქტი, რომელიც ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს, ეს ფეხბურთელი მაშინ ვიყიდოთ, როცა მოგვინდება. იქნებ, გაისად შევიძინოთ."*

"ბილდის" ინფორმაციით, პუნქტში წერია, რომ გომესი მხოლოდ 30 მილიონი ევროს გადახდის შემთხვევაში გაიყიდება და თანაც მხოლოდ უცხოეთში. ალბათ ამიტომაცაა, "შტუტგარტის" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** რუმენიგეს თამამად რომ უპირისპირდება. *"ნურას უკაცრავად, თვით დიდ "ბაიერნსაც" კი არ შეუძლია ჩვენი ფეხბურთელის ყიდვა მაშინ, როცა თვითონ მოუნდება,"* - აცხადებს ჰელდტი და იქვე დასძენს, - *"ვისურვებდი, რომ "ბაიერნმაც" ისევე სცეს პატივი "შტუტგარტს", როგორც "შტუტგარტი" "ბაიერნს".*

ერთი სიტყვით, "ბაიერნსა" და "შტუტგარტს" შორის შავმა კატამ გაირბინა.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტოტენჰემი მსხვერპლზე მიდის?

## ბერბატოვი მილანში ან ბარსაში, თან ფასდაკლებით



დიმიტარ ბერბატოვი

აი, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ინგლისურ პრესაში. "ტოტენჰემი" მზადაა, მსხვერპლზე წავიდეს და **დიმიტარ ბერბატოვი** ნაკლებ ფასში დაუთმოს "მილანს" ან "ბარსელონას", ოღონდაც ბულგარელის "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა აიცილოს თავიდან. შეგახსენებთ, "ეშმაკები" ფორვარდში 25 მილიონ გირვანქას იხდიან. ჰოდა, "სანმა" დაწერა, "მამლებმა" მანჩესტერელთა წინადადება კატეგორიულად უარყვესო.

დადასტურებული ამბავია, რომ 27 წლის ბერბატოვზე "მილანსაც" უჭირავს თვალი და "ბარსელონასაც". "ტოტენჰემის" აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ ლევი** ცდილობს, ორივე გიგანტი სწორედ ფასის დაკლებით დააინტერესოს. კაცმა რომ თქვას, მისტერ ლევის ჩანაფიქრი ერთობ არაპრაგმატულია. პრინციპები გასაგებია, მაგრამ დავიჯეროთ, "ტოტენჰემს" "იუნაიტედის" კონკურენტად მიიჩნევს?

მისი საქმეა, აი, ბერბატოვისთვის კი, ეტყობა, სულერთია, "მანჩესტერში" გადავა, "მილანსა" თუ "ბარსელონაში". მას ერთი მიზანი აქვს - როგორმე ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. რაკი ასეა, მაშინ, "როსონერი" უნდა გამოვრიცხოთ. უეფას თასი ბერბატოვის ამბიციებს ვერ აკმაყოფილებს. ის "ტოტენჰემში" ორი წლის წინათ, "ლევერკუზენიდან" გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში "ბერბამ" 46 გოლი გაიტანა და უამრავი საგოლე გადაცემა მიითვალა. ამის გამო, მას პრემიერლიგის ყველაზე ალტრუისტი მოთამაშეც უწოდეს...

რაკი "მანჩესტერ იუნაიტედი" თავად "ტოტენჰემმა" უარყო, ხოლო "მილანის" ვარიანტს, სავარაუდოდ, თვითონ ბერბატოვი დაიწუნებს, უფრო რეალისტურია, რომ "ბარსელონაში" ამოჰყოს თავი. თუმც ჯერ გასარკვევია, მიდის თუ რჩება **სამუელ ეტო'ო**. თუ კამერუნელი დარჩა, კატალონიელები ფორვარდში ფულს აღარ დახარჯავენ, თუ არა და... ისე, ამბობენ, "ბარსას" ახალი მწვრთნელი **პეპ გვარდიოლა** ეტო'ოსთვის კალთების დახევას არ აპირებსო...

ინტერი

# მოურინიოს შიშები დაეწყო: შპიონებია ქალაქში...

## ფანებმა ჟოზეს უკვე უსტვინეს

"ინტერი" გახურებულ ვარჯიშშია. ჟოზე მოურინიოს ფაქტორი "ნერაძურისადმი" ინტერესს ერთიორად მაღლა სწევს. ამიტომაცაა, რომ ჩემპიონის საწვრთნელ პროცესს, პირველივე დღიდან, უამრავი გულშემატკივარი ესწრება. ვარჯიშამდეც და მის შემდეგაც ჩვეულებრივი ამბებია: ავტოგრაფები, ფოტოები, გოგონები...

ამ მხრივ, ჟოზეს "ჩელსიში" რკინისებური წესრიგი ჰქონდა დამყარებული. მოთამაშეები ფანებს მხოლოდ კვირის განსაზღვრულ დღეებში ხვდებოდნენ. ტიფოზების აქტიურობა კი, ეტყობა, მოურინიოს ნერვებს უშლის. და აი, გუშინ, "რისკონე დი ბრუნიკოს" ცენტრში (სადაც "ინტერი" ვარჯიშობს) კარები საფუძვლიანად ჩაირაზა. ვარჯიშის საყურებლად მისულმა ქომაგებმა ერთი ამბავი ატეხეს. "ინტერში" მისვლიდან ერთი თვის თავზე მოურინიომ პირველი სტვენაც გაიგო. მისი ხასიათიდან გამომდინარე, ცხადია, ამას ყურადღებას არ მიაქცევს და კვლავ თავის პრინციპს გაატარებს. თუმც ვარჯიშის დასრულების შემდეგ მას მაინც მოუწია კომენტარის გაკეთება და იმ მიზეზის ახსნა, თუ რატომ ჩატარდა "ინტერის" წვრთნა დახურულ კარს მიღმა:

*"მსურს, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ფანებს უდიდეს პატივს ვცემ. მათ გარეშე ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ გასულ კვირას, აპიანო ჯენტილეში, ყველა ვარჯიში გახსნილი იყო და ქომაგებს საშუალება ჰქონდათ, თავიანთი კუმირებისთვის იმდენ ხანს ეცქირათ, სანამ არ მობეზრდებოდათ... მაგრამ მე კარგად ვიცი, რაც ხდება ხოლმე ასეთ დროს. პირველი კვირის შემდეგ, რომელიც ძირითადად ფიზმომზადებას დაეთმო, უკვე გადავედით აქტიურ ფაზაში, როცა იწყება მუშაობა ტაქტიკურ ელემენტებზე. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრებს შორის ბევრი ისეთიცაა, ვინც ინფორმაციას აგროვებს - მწვრთნელები, ათასი ჯურის დამკვირვებლები... ანუ, ეს ჩვეულებრივი შპიონაჟია. ამიტომაც გადავწყვიტე ვარჯიშის დახურვა პირველი ტესტ-მატჩის წინ".*



ჟოზეს გაგრილება სჭირდება

ჟოზეს შიშები დაეწყო. თუმც მისი არგუმენტი სრულიად გასაგებია. ამასობაში ბიჭები კი ემზადებიან. **ამანტინო მანსინი** პირველი ინტერული დღეებით აღფრთოვანებულია: *"ჯერ ერთი კვირაა, რაც აქ ვარ და თავს უკვე მშვენივრად ვგრძნობ. ფანტასტიკური ჯგუფია. მთავარია, სრული კონცენტრაცია საწვრთნელ პროცესზე. მოურინიოსთვის ეს ამოსავალი წერტილია".*

მოურინიოს ხელში **ერნან კრესპოც** ბედნიერია. **რობერტო მანჩინი** რომ დარჩენილიყო, არგენტინელ ფორვარდს უთუოდ გუნდის დატოვება მოუწევდა. მას ეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა: *"გუნდიდან წასვლას აღარ ვფიქრობ. მოურინიოს აქამდეც ვიცნობდი და ვიცი, რომ ჩემზე კარგი წარმოდგენა აქვს. რაც შეეხება იმას, მომცემს თუ არა მწვრთნელი ძირითადში თამაშის საშუალებას, იცით, ჩემთვის მთავარია დამოკიდებულება. მჯერა, მოურინიოს ხელში შრომა არ დამეკარგება. მანჩინის დროსაც არ ვზოგავდი თავს, მაგრამ... მაგრამ დღეს მშვიდად ვარ. ვიცი, რომ დიდ გუნდში ვთამაშობ, გუნდში, რომელსაც გენიალური ფორვარდები ჰყავს. ვფიქრობ, პრობლემები არ იქნება".*

***P.S.* გუშინ, "ინტერმა" ამხანაგური მატჩი გამართა საუდის არაბეთის "ალ-აჰლისთან" და ნიკოლას ბურდისოს გოლით 1:0 მოიგო.**

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ამხანაგური მატჩები

# სკოლარის წარმატებული დებიუტი

## ლემპარდმა ახალი კონტრაქტი გოლით აღნიშნა, ბოსინგვა დაშავდა



**ლუიშ ფელიპე სკოლარი სერ ალექს ფერგიუსონთან** ვერბალურ ომში ჩაბმას არ აპირებს. "დეილი მეილთან" ინტერვიუში "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა - "არისტოკრატებს" ხანდაზმული შემადგენლობა ჰყავთ, არა მგონია, სკოლარიმ დიდ პროგრესს მიაღწიოსო.

ოთხშაბათს, "არისტოკრატებმა" აღმოსავლური ტურნეს პირველი მატჩი ჩაატარეს. მათ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს "გუანჯოუ ფარმასიუტიკალს". ამ თამაშის შესახებ ოდნავ ქვემოთ გიამბობთ. იქამდე სკოლარის პრესკონფერენციისას გაკეთებულ კომენტარებს გაეცანით.

როგორც კი სკოლარი დარბაზში შევიდა, ჟურნალისტებმა სერ ალექსის განცხადებაზე ჰკითხეს. "ჩელსის" ბოსმა ღიმილით მიუგო, თქვენი ნებართვით, ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ, ჩემთვის ეს თემა აქტუალური არ არისო. სამაგიეროდ, ბრაზილიელმა მწვრთნელმა სიამოვნებით ისაუბრა პირველ გამარჯვებაზე: *"ყოველთვის სასიამოვნოა საქმის წარმატებით დაწყება. მართალია, ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებთ, მაგრამ დღეს არ შემინიშნავს არც ერთი ისეთი პრობლემა, რომელსაც ვერ მოვაგვარებთ. ჩვენი გუნდი გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების სინთეზია. "ჩელსის" შეუძლია პრემიერლიგაში სასურველი შედეგის მიღწევა."*

კითხვაზე, გრძნობს თუ არა განსაკუთრებულ ზეწოლას იმის გამო, რომ "ჩელსის" მწვრთნელია, სკოლარიმ უპასუხა: *"არა მგონია, პრემიერლიგის რომელიმე მწვრთნელს იოლი სამუშაო ჰქონდეს. გარკვეული წნეხი ყველა სამუშაოს ახლავს. ეს ნორმალურია. მე კლუბებშიც მიმუშავია და ნაკრებებშიც. ამიტომ კარგად ვიცი, როგორ გავუმკლავდე ზეწოლას."*

რაც შეეხება გუანჯოუს მატჩს, ოთხიდან ერთი გოლი **ფრენკ ლემპარდმა** გაიტანა. სკოლარი ყველაზე მეტად ამ ფეხბურთელის წარმატებამ გაახარა. ერთი დღით ადრე "ჩელსის" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, ლემპარდისთვის შეთავაზებული სარეკორდო კონტრაქტის თაობაზე. ფრენკი ინგლისის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. მას კვირაში 150 ათას გირვანქას გადაუხდიან.

ოთხშაბათის შეხვედრაში თავი გამოიჩინა არგენტინელმა ახალწვეულმა **ფრანკო დი სანტომ.** გოლები გაიტანეს **სალომონ კალუმ** და **შონ რაიტ-ფილიპსმა.** შეხვედრას 30 ათასი მაყურებელი დაესწრო და უაღრესად კორექტულ ატმოსფეროში წარიმართა.

"ჩელსის" გოლების გატანა თამაშის დასაწყისშივე შეეძლო. კარგი მომენტები ჰქონდათ ლემპარდს, **მიკაელ ესიენსა** და **ნიკოლა ანელკას.** ამ უკანასკნელს საგოლე პასი **დეკუ სოუზამ** გაუკეთა. დაშავდა ახალწვეული **ჟოზე ბოსინგვა.** ის მე-20 წუთზე შეცვალეს. ექიმები დღეს გადაწყვეტენ, ფეხბურთელი გუნდთან ერთად დარჩება, თუ ლონდონში გაემგზავრება.

მეორე ნახევარში სკოლარიმ თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა. უეინ ბრიჯმა ბურთი ძელს მოარტყა. ძელი შეაზანზარა დი სანტომაც. შემდეგ მიზანი გაისწორა და გოლი გაიტანა. **ანდრეი შევჩენკოს** შეცვლაზეც არ უთამაშია. **ჯო კოული** ვარჯიშისას დაშავდა და დაასვენეს. **დეკუ სოუზამ** მინდორზე 62 წუთი გაატარა. ცოტა ხანს ითამაშა კიდევ ერთმა ახალწვეულმა **ბრანისლავ ივანოვიჩმა.** ხვალ "ჩელსი" მაკაუში ითამაშებს, შემდეგ მალაიზიასა და რუსეთში გაემგზავრება.

დასასრულს, "არისტოკრატების" შემადგენლობა:

**პირველი ტაიმი** (4-1-2-1-2): ჩეხი; ბოსინგვა (19. ფერეირა), კარვალიო, ტერი, ეშლი კოული, მიკელი, ესიენი, დეკუ, ლემპარდი, კალუ, ანელკა.

**მეორე ტაიმი** (4-3-3): კუდიჩინი, ფერეირა, ალექსი, კარჩალიო, ბრიჯი, ლემპარდი, მიკელი, დეკუ (62 ივანოვიჩი), კალუ (57. რაიტ-ფილიპსი), დი სანტო, მალუდა.

**გოლები:** 0:1 კალუ (19), 0:2 ლემპარდი (50), 0:3 დი სანტო (78), 0:4 რაიტ-ფილიპსი (87).

მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

# ამაური და იაკვინტა: ეს ტანდემი კარგად მუშაობს

## ლაციო უსახელო რიმინისთან შერცხვა

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადების პროგრამით, "იუვენტუსი" ევროპის ქვეყნებში მოგზაურობასა და ტესტ-მატჩების გამართვას აპირებს. პირველი ასეთი მატჩი "ბებერმა ქალბატონმა" კოპენჰაგენში ჩაატარა და იქაურ "ბრონდბიუს" 2:1 აჯობა. სულ კი, ეს ტურინელთა მესამე საწვრთნელი შეხვედრა იყო. სამოყვარულო "მეცოკორონა" "იუვემ" 7:1 გაანადგურა, მეორე მატჩში კი, "პიაჩენცასთან", 0:1 დამარცხდა.

**ჯანლუიჯი ბუფონს, ჯორჯო კიელინისა** და **მოჰამედ სისოკოს** კოპენჰაგენში წინასასეზონო დებიუტი ჰქონდათ. "სინიორამ" პირველი გოლი **კარვალიო ამაურისგან** მიითვალა (ბრაზილიელისთვის ეს უკვე მეექვსე გოლია ახალ კლუბში). ექსპალერმოელმა **ვინჩენცო იაკვინტასთან** გაითამაშა მარტივი სამსვლიანი კომბინაცია და მეტოქის კარი თავურით დალაშქრა.

"იუვემ" მეორე გოლიც პირველ ტაიმში გაიტანა. შესვენებას ბევრი არაფერი აკლდა, როცა იაკვინტამ ასისტენტობას გოლიც დაამატა. ეს მის სოლოგარღვევას მოჰყვა. მეორე ნახევრიდან, **კლაუდიო რანიერიმ** თამაშში **ზდენეკ გრიგერა, დავიდ ტრეზეგე** და ახალგაზრდული გუნდიდან გადმოყვანილი **ფაუსტო როსი** ჩართო. ტრეზეგე ეული ფორვარდის როლში მოგვევლინა. მას **პაველ ნედვედი, ჰასან სალიჰამიჯიჩი** და ხსენებული როსი უბამდნენ მხარს.

სადღაც მეორე ნახევრის შუანელიდან "ბრონდბიუმ" აშკარად მოუმატა და სახელოვან მეტოქეს პრობლემები შეუქმნა. **კატონგოს** თავური ხარიხას მოხვდა, მერე **უილიამსს** შეეძლო თავის გამოჩენა, ბოლოს კი **ფარნერუდმა** ანგარიში 11-მეტრიანით დაასწორა. იქვე, ტრეზეგემ მესამე გოლიც შეაგდო, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა.

**იუვენტუსი**: ბუფონი (46. კიმენტი), ზებინა (46. გრიგერა), ლეგროტალიე (46. კიელინი), მელბერგი (70. არიაუდო), მოლინარო, სალიჰამიჯიჩი, კ. ძანეტი, ეკდალი (46. სისოკო), ნედვედი (75. ესპოზიტო), იაკვინტა (46. ტრეზეგე), ამაური (46. ფ. როსი).

მომდევნო ამხანაგურ მატჩს "იუვენტუსი" შაბათს, დორტმუნდში, იქაურ "ბორუსიასთან" გამართავს.

"ლაციომ" სერია B-ს ბინადარ "რიმინისთან" 4:2 წააგო. მანამდე, რომაელებმა სამოყვარულო გუნდები გამოიჭირეს და, შესაბამისად, 8:0 და 7:0 დაიბრიყვეს, შედარებით სერიოზულ მეტოქესთან ყურები ჩამოყარეს. მეტიც, მეორე ნახევრის დასაწყისისთვის "ლაციალეს" ოთხი უპასუხო გოლი ჰქონდა გაშვებული, მაგრამ ჯერ ახალწვეულმა, არგენტინელმა მაურო სარატემ, მერე კი ნიგერიელმა სტივენ მაკინვამ ოდნავ შეამსუბუქეს დელიო როსის შეგირდთა მდგომარეობა. "ბიანკოჩელესტემ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა.

**ლაციო:** კარისო (67. მუსლერა), ლიხტშტაინერი (46. ბელერი), კოლაროვი (53. კ. მანფრედინი), დაბო (46. ჩინელი), სარატე (56. მაკინვა), სივილია (56. დიაკიტი), როზენალი (86. ფარაონი), ლედესმა (67. მენდიჩინო), კრიბარი (46. ტუია), მეგნი (46. მათუსალემი), პანდევი (56. ფოჯა).

"უდინეზე" კი მაროკოში ბრძანდება. "ზაფხულის თასის" ეგიდით მიმდინარე ტურნირში, **პასკუალე მარინოს** გუნდი პორტუგალიურ "პაკუშ ფერეირას" შეხვდა და 2:0 გაიმარჯვა. უდინელებმა ანგარიში 59-ე წუთზე გახსნეს. **ანტონიო ფლორო ფლორესი** საჯარიმოში შეიჭრა და მოხდენილად დაარტყა. მეორე გოლი 15 წუთში გავიდა. **მაურისიო ისლას** ეფექტური პასით **სიმონე პეპემ** იხეირა. "უდინეზე" ფინალში "ბილბაოს" შეხვდება. თავის მხრივ, ბასკებმა პენალტების სერიაში ტურნირის მასპინძელი "ფარი" დაამარცხეს.

გიორგი გელაშვილი



ამაური იუვენტუსს უკვე შეეჩვია

## ჩაწყობილი მატჩები: დაისაჯა მხოლოდ ბალერი

"ატალანტა"-"ლივორნოს" გახმაურებულ მატჩებზე უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხებოდა ხსენებულ გუნდებს შორის გასულ სეზონში ჩატარებულ ორ მატჩს, რომელიც საეჭვოდ სცნეს. თითქოს, დასტურდებოდა მათში რამდენიმე ფეხბურთელის მონაწილეობაც. გამოძიებამ მასალები რეაგირებისთვის ფეხბურთის ფედერაციას გადასცა. დისციპლინარებმა მხოლოდ "ლივორნოს" კაპიტანი **დავიდე ბალერი** დასაჯეს. ის ოთხი თვით ჩამოაცილეს მწვანე მინდორს. ტოსკანური კლუბი კი 25 ათასი ევროთი გალარიბდება. რაც შეეხებათ "ატალანტას" კაპიტან **ჯანპაოლო ბელინის**, "ლივორნოში" მოთამაშე ტყუპ ძმებს, **ანტონიო** და **ემანუელე ფილიპინებს**, ასევე ლივორნოელ მცველ **ალესანდრო გრანდონის**, ისინი უდანაშაულოდ სცნეს.

## რობინსონმა ბლექბერნს მიაშურა

**პოლ რობინსონის** გასაჭირს წერტილი დაესვა. 28 წლის მეკარე კარიერას "ბლექბერნში" გააგრძელებს. პოლ ინსის გუნდი "ტოტენჰემს" 3.5 მილიონ გირვანქას მიუთვლის. ფეხბურთელი ამ ტრანსფერზე დიდ იმედს ამყარებს. მას ინგლისის ნაკრებში დაბრუნება სურს. რობინსონი "ივუდ პარკზე" **ფრედ ფრიდელს** შეცვლის. ორიოდე დღის წინათ ამერიკელმა გოლკიპერმა "ასტონ ვილას" მიაშურა. ბირმინგემელებმა 37 წლის ფრიდელი 2.75 მილიონ გირვანქად შეიძინეს. სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და ორჯერ მაღალი ხელფასი დაუნიშნეს. რობინსონის კონტრაქტის დეტალები უცნობია.

## ვესტ ჰემი: ათი დღე სისეს შესაძენად

თუ "ვესტ ჰემს" **ჯიბრილ სისეს** შეძენა სურს, უნდა იჩქაროს. "მარსელმა" ინგლისელებს მოსაფიქრებლად ათი დღე მისცა. ათი დღის შემდეგ, ფრანგული კლუბი შეთავაზებებს აღარ განიხილავს. "ვესტ ჰემს" კი ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, გადაიხადოს თუ არა 8 მილიონი გირვანქა 26 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ. "ჩაქუჩებს" შეტევის ხაზი გაძლიერება მართებთ. სისეს ინგლისში დაბრუნება სურს. მისი მეუღლე დღემდე ლივერპულში ცხოვრობს. "ვესტ ჰემის" გარდა, ფრანგ ვარსკვლავს "მანჩესტერ სიტი" და "ბლექბერნიც" აკვირდებიან.

## დავიდ ნგოგი ლივერპულში

"ლივერპულმა" ფრანგ ფორვარდ **დავიდ ნგოგს** ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ნგოგი მერსისაიდელთა მეოთხე შენაძენია. 19 წლის თავდამსხმელმა შარშანდელი სეზონი "პარი სენ ჟერმენში" გაატარა. მან 18 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი გოლი შეაგდო. ნგოგმა პარიზელებთან ხელშეკრულების გაგრძელება არ ისურვა. ის ტრანსფერზე დააყენეს და 1.5 მილიონ გირვანქად გაყიდეს. დავიდმა **რაფაელ ბენიტესის** ყურადღება საფრანგეთისა და ინგლისის ახალგაზრდული მატჩისას მიიპყრო. ლივერპულელთა ახალწვეულმა ინგლისს ორი გოლი უძლვნა. აქვე გეტყვით, რომ ნგოგი "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების მცველის, **ჟან ალენ ბუმსონგის** მამიდაშვილია. ბი-ბი-სის ცნობით, 18 წლის ესპანელი მცველი **ემანუელ მენდი** "ლივერპულის" მეორე გუნდში ჩაირიცხა. ის ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბ "მურსია დეპორტივოდან" გადაიბირეს. მენდი გარემარბია და ორივე ფლანგზე უპრობლემოდ თამაშობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# კაპელო: ინგლისის შემდეგ პენსია

## ინგლისის ნაკრების თავკაცი ინტერის მწვრთნელისგან რევოლუციას არ ელოდება

ინგლისის ნაკრების შემდეგ, **ფაბიო კაპელო** პენსიაში გავა. იტალიელმა მწვრთნელმა ეს განცხადება "ლა რეპუბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. 62 წლის სპეციალისტს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასთან ოთხწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, თუმცა კონტრაქტის პირობები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადაიხედება. თუ მწვრთნელის მუშაობა წარმატებულად შეფასდება, ის მუშაობას გააგრძელებს, თუ არადა, ნაადრევად მოუწევს ნისლიან ალბიონთან გამომშვიდობება. კაპელო ამბობს: *"როგორც კი ინგლისის ეროვნულ გუნდთან თანამშრომლობას დავასრულებ, ამით ჩემს სამწვრთნელო კარიერასაც წერტილი დაესმება. მინდა, პენსიაში გასვლამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე შთამბეჭდავ შედეგს მივაღწიო."*

კაპელოს განცხადებას ინგლისში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ის უკლებლივ ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოიტანა. ბი-ბი-სიმ დონ ფაბიოს ინტერვიუს მიმოხილვის შემდეგ, მკითხველს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა. ბრიტანეთის სამაუწყებლო არხისათვის ცნობილი გახდა, რომ კაპელო ფიქსირებულ ხელფასს არ იღებს. მის მიერ გამომუშავებული თანხა ბევრწილად გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სპეკულაციები, თითქოს კაპელოს წელიწადში 6 მილიონ გირვანქას უხდიდნენ, უსაფუძვლოა და რეალობას არ შეესაბამება.

კაპელო "ლა რეპუბლიკას" სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც ესაუბრა. მაგალითად, მან თქვა, რომ უკეთესი იქნება, თუ **ფრენკ ლემპარდი** "ჩელსიში" დარჩება: *"მე ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ვარ. ამიტომ ამ საკითხსაც ჩემი სამსახურეობრივი პოზიციიდან ვუყურებ. რა თქმა უნდა, მირჩევნია, მან ლონდონში ითამაშოს და სანაკრებო შეკრებებზე ჩამოსასვლელად ბევრი დრო არ დაკარგოს."* მწვრთნელმა **დეივიდ ბექჰემის** შესახებაც გააკეთა განცხადება: *"სანამ ის ფორმაშია, ნაკრებშიც აუცილებლად ითამაშებს."*

კაპელო იტალიურ ამბებსაც გადასწვდა. მისი აზრით, **ჟოზე მოურინიო** კალჩოში რევოლუციას ვერ მოახდენს: *"შეუძლებელია, პორტუგალიელმა ისეთი რამ გვასწავლოს, რაც აქამდე არ გვინახავს და გაგვიგონია. იტალიას მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელები ჰყავს. იტალიელი გულშემატკივრების გაოცება ძალიან ძნელია. მოურინიო ძლიერ კლუბში მივიდა. "ინტერს" მასშტაბური ცვლილებები არ სჭირდება. შემადგენლობის უმნიშვნელო გადახალისებაც კი საკმარისი იქნება."*

**შალვა ბიბილაშვილი**



ფაბიო კაპელო

ტრანსფერი

# დელასი ქეცბაიასთან

საბერძნეთის ნაკრების ვეტერანმა მცველმა, 2004 წლის ევროპის ჩემპიონმა **ტრაიანოს დელასმა** მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მას ათენის აეკთან კონტრაქტი დაუმთავრდა და კვიპროსის მოქმედ ჩემპიონ "ანორთოსისს" მიაშურა. მოგეხსენებათ, ამ გუნდს საქართველოს ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **თემურ ქეცბაია** წვრთნის. შეგახსენებთ, რომ "ანორთოსისმა" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და მეორე ტურში ვენის "რაპიდთან" ითამაშებს.

ინტერვიუ ანდრეა ბარძალისთან

# მაგათის პროექტის საკვანძო ფიგურა

## რატომ ამჯობინა იტალიელმა ფიორენტინას ვოლფსბურგი?





ანდრეა ბარძალი და ფელიქს მაგათი

**"ვოლფსბურგმა"** იტალიელ ანდრეა ბარძალიში 14 მილიონი ევრო გადაიხადა. ამით, მსოფლიოს ჩემპიონი მცველი ამ გუნდის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. ბარძალის შეძენა "მგლების" მთავარი მწვრთნელის, ფელიქს მაგათის დაჟინებული მოთხოვნა გახლდათ. "დესპოტი ფელიქსი" დარწმუნებულია, რომ 27 წლის ანდრეა გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდება. იტალიელი შვებულებიდან დაბრუნდა და უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ახალი სეზონისთვის ემზადება. პირველ "მგლურ" შთაბეჭდილებებზე მას "კიკერის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ანდრეა ბარძალი, "ვოლფსბურგმა" საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ თქვენ შვებულებიდან ყველაზე ბოლოს დაბრუნდით. მოგვიყევით თქვენი პირველი შთაბეჭდილებების შესახებ?**

- გუნდში იდეალური ატმოსფეროა. განსაკუთრებით ოფიციალური პრეზენტაციის ცერემონიალმა მომხიბლა. ჩემი წარდგენის სანახავად იმდენი ფანი მოვიდა, რომ გაოგნებული დავრჩი. არ მეგონა, თუ ასეთ ინტერესს გამოვიწვევდი. ყველაფერი გენიალური იყო. იტალიაში ასეთ რაღაცებს მიჩვეული არ ვარ.

**- როგორც ჩანს, თქვენ რონალდინიოს პრეზენტაცია არ გინახავთ...**

- რონალდინიო გამონაკლისი შემთხვევაა. იტალიაში ყველა ახალწვეულს რომ ასეთ პრეზენტაციას უწყობდნენ, რაღა გაგვიჭირდებოდა.

**- ალბათ, უკვე საკუთარ თავზე გამოსცადეთ, რომ ფელიქს მაგათის ვარჯიშებიც განსაკუთრებული შემთხვევაა და დიდი შანსია, რომ ასეთი ვარჯიშიც არსად გქონდეთ ნანახი...**

- არა, ვარჯიშები იტალიაშიც ძალიან მძიმეა. მაგალითად, როცა "კიევოში" ვთამაშობდი, ლუიჯი დელ ნერის ხელში უმძიმესი მოსამზადებელი შეკრებები გვქონდა ხოლმე. თუმცა იტალიელი მწვრთნელები ფეხბურთელებს სხვა მეთოდებით ავარჯიშებენ ხოლმე. მაგათის მეთოდები მათგან კარდინალურად განსხვავდება. საერთო ჯამში, უმჯობესია, სეზონის დაწყებამდე დაიტანჯო, ვიდრე ის, რომ სეზონის მიწურულს ძალები გამოგელიოს და ამის გამო ტიტული დაკარგო.

**- თქვენი თანამემამულე კრისტიან ძაკარდო მაგათმა მაგრად გააკრიტიკა, ფიზმომზადების თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემები აქვსო...**

- კრისტიანმა მითხრა, არანაირი პრობლემა არ არსებობსო.

**- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მუხლის ტრავმა გაწუხებდათ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- შესანიშნავად. შვებულების დროს გამოსაჯანსაღებელ კურსებს ვიტარებდი.

**- თქვენ "ვოლფსბურგის" არსებობის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ხართ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის - უფრო მძიმე წნეხს თუ სიამაყის განცდას?**

- ორივეს ერთად. წინდაწინვე ვიცი, რომ ყურადღების ცენტრში ვიქნები და ყველა მე დამიწყებს ყურებას. ეს კი უდიდესი პასუხისმგებლობაა და დამატებითი მოტივაცია.

**- ამბობენ, დიდი შანსია, რომ ბარძალი "ვოლფსბურგის" კაპიტანი გახდესო. ამაზე რას იტყოდით? მზად ხართ, გუნდის თავი გახდეთ?**

- იცით, მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც "ვოლფსბურგში" ვარ. არა მგონია, ჩემი გაკაპიტნება სხვა ფეხბურთელებთან მიმართებაში სწორი საქციელი იყოს. ისინი ხომ გაცილებით დიდი ხანია, ამ გუნდისთვის იხარჯებიან. არა მგონია, რომ ჩემი კაპიტნობის საკითხი დღის წესრიგში დადგეს.

**- სანამ "ვოლფსბურგში" გადასვლას გადაწყვეტდით, ლუკა ტონის ჰკითხეთ რჩევები?**

- რა თქმა უნდა. ლუკამ მითხრა, გერმანიის ჩემპიონატი სულ ტყუილად გგონია დაბალი დონის, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირია და თუ წამოხვალ, ამაში თვითონაც ძალიან მალე დარწმუნდებიო. თუმცა ტონიმ ისიც მითხრა, რომ ცხოვრების წესი ოდნავ მაინც უნდა შეიცვალო, რადგან გერმანია იტალიისგან კარდინალურად განსხვავდებაო.

**- და ზოგადად, რატომ გადაწყვიტეთ "ვოლფსბურგში" გადასვლა?**

- ფელიქს მაგათმა მაგრძნობინა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ და რომ ძალიან უნდა, ჩამრთოს დიდ პროექტში, რომელსაც ამ კლუბის აღორძინება და გრანდად ჩამოყალიბება ჰქვია. ამ ყველაფერმა ძალიან გამახარა და მომხიბლა. ესეც არ იყოს, უცხოეთში თამაში და გამოცდილების მიღება ძალიან მინდოდა. მოკლედ, შესანიშნავი შანსი მომეცა, რომელიც ხელიდან არ გავუშვი.

**- ფლორენციაში გაკრიტიკებენ, ფულს დახარბდა და "ფიორენტინას" "ვოლფსბურგი" ამიტომაც ამჯობინაო...**

- ხალხს უყვარს ამგვარი საუბრები - მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების შესახებ ზუსტად არაფერი იციან ხოლმე. განა, მე არჩევანში თავისუფალი არ ვარ? ხომ შემიძლია, თვითონ გადავწყვიტო, სად ვითამაშებ? თავად განსაჯეთ: მაგათთან შესანიშნავი საუბარი მქონდა, "ფიორენტინას" თავკაც პრანდელის კი ჩემთან გასაუბრება არც კი მოუსურვებია. ესეც ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც "ფიორენტინას" "ვოლფსბურგი" ვამჯობინე.

**- იტალიელები ბუნდესლიგას როგორ უყურებენ?**

- მსოფლიოს ჩემპიონატისა და განსაკუთრებით მას მერე, რაც ბუნდესლიგაში ტონი თამაშობს, იტალიაში გერმანიის ჩემპიონატს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ და გაცილებით მეტად აფასებენ, ვიდრე მანამდე. როცა ამის დრო მქონდა, ბუნდესლიგის თამაშებს მეც სიამოვნებით ვუყურებდი ხოლმე. ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველოდები.

**- თქვენი აზრით, რა მიზნები უნდა დაისახოს "ვოლფსბურგმა"?**

- ჩემი აზრით, ჩემპიონობაზე სერიოზულად ფიქრი ნაადრევია, რადგან პირველი ადგილისთვის ფავორიტებად "ბაიერნი", "ვერდერი" და "შალკე" მიმაჩნია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "ვოლფსბურგმა" შარშანდელი შედეგი აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს. ჩვენ მინიმუმ სამეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

**- ანუ, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის...**

- ამ მიზნის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ დიახ, სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი!

**- "ვოლფსბურგში" ძალიან ბევრი იტალიელი ცხოვრობს...**

- დიახ და ესეც კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც აქ წამოვედი. პრეზენტაციაზე ძალიან ბევრი იტალიელი მოვიდა და იტალიურად მქომაგობდნენ. აშკარად ჩანს, რომ ისინი ჩემზე და ძაკარდოზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. ეს კი ჩვენთვის ორმაგი პასუხისმგებლობაა.

**გოტფრიდ ლენცი**



ჩეზარე პრანდელის ადრიან მუტუ ძალიან სჭირდება

ფიორენტინა

# დელა ვალე: მუტუ ჩვენთან რჩება! ...მაგრამ არშავინი?

## რომა დანებებას არ აპირებს

როგორც ჩანს, **ადრიან მუტუს** ტრანსფერიც ისეთივე საგად გადაიქცევა, როგორც ეს **რონალდინიოს** შემთხვევაში იყო. სამშაბათს, "რომამ" ოფიციალური წინადადებით მიმართა "ფიორენტინას" და რუმინელი ფორვარდის გაყიდვა შესთავაზა. "ჯალოროსი" მზადაა, მუტუში 20 მილიონი ევრო (16 მილიონი გირვანქა) დახარჯოს. **ლუჩანო სპალეტის** თავდასხმის გაძლიერება სჭირდება და კლუბის მესვეურნი თვლიან, რომ ეს ამბავი ამ თანხად ნამდვილად ღირს. მაგრამ "ფიორენტინა"? "იებსაც" დიდი ამბიცია აქვთ. გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და მომავალ სეზონშიც, იქნებ, ერთი-ორი საფეხურით მაღლაც აიწიოს. კარგი ფორვარდები დაკავებულები არიან. მუტუ კი, დღესდღეობით, **ჩეზარე პრანდელისთვის** იდეალური ფიგურაა.

გუშინდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ტრანსფერის ალბათობა სადღაც 95 პროცენტს უკაკუნებდა. პრესა მზად იყო იმისთვის, რომ "რომას" შტაბი კიდევ ერთ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებდა, ამჯერად, მოლაპარაკების წარმატებით მიმდინარეობის თაობაზე, კვირის ბოლოსთვის კი უკვე კონტრაქტზე ხელმოწერასაც ელოდნენ...

ერთი სიტყვით, მედიას საქმე ფორმალობამდე დაჰყავდა. ამ ვარაუდს ამყარებდა "ფიორენტინას" სპორტული დირექტორის **პანტალეო კორვინოს** სიტყვებიც - რა უფლება გვაქვს, 30 წლის ფეხბურთელს სადმე წასვლა დავუშალოთო. მაგრამ კორვინოზე მაღლა პრეზიდენტია და სწორედ მისი პრეროგატივაა ამგვარი საკითხების გადაწყვეტა...

და აი, გუშინ, "ფიორენტინას" პრეზიდენტი (და ერთ-ერთი მფლობელი მის ძმასთან, დიეგო დელა ვალესთან ერთად) **ანდრეა დელა ვალე** ამერიკიდან ფლორენციაში დაბრუნდა და ყველაფერს ხაზი გადაუსვა. კლუბმა გაავრცელა პრესრელიზი, რომელშიც ვკითხულობთ: *"პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე, "რომას" შეთავაზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილია, განაცხადოს, რომ ადრიან მუტუ არის და რჩება "ფიორენტინას" ფეხბურთელად".*

იქვე, ნათქვამია, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს კონტრაქტი, რომელიც მუტუმ ცოტა ხნის წინათ გააგრძელა. კლუბი არ აპირებს ამ კონტრაქტის დარღვევას და მოუწოდებს ფეხბურთელს, ასეთივე პატივისცემით მოეპყრას მის მიერვე ხელმოწერილ დოკუმენტს.

იკვეთება პარალელი **ლუკა ტონის** ამბავთან. 2006 წელს, "ფიორენტინამ" მას "ინტერში" გადასვლა ჩაუშალა, სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ, ტონიმ "ბაიერნს" მიაშურა. ჰოდა, აქაც ეს მოტივი შეიძლება იყოს: დელა ვალეს არ სურს, რომ ფასეული ფორვარდი ერთ-ერთ კონკურენტს ჩაუგდოს ხელში. ან მეორე ვერსია: იქნებ, ფლორენციელები მაზანდას უწევენ და 20-ს კი არა, 23 მილიონ ევროს გამორჩნენ? და კიდევ: როგორც აღვნიშნეთ, მუტუ პრანდელისთვის საკვანძო მოთამაშეა და რაკი "არტემიო ფრანკიზე" მწვრთნელს უდიდეს პატივს სცემენ, ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ადრიანი შეინარჩუნონ...

მიუხედავად ამისა, "კორიერე დელო სპორტი" წერს, რომ "ჯალოროსი" ზაფხულის მთავარ ტრანსფერზე ხელის აღებას არ აპირებს. "რომას" სპორტული დირექტორი **ბრუნო კონტი** ასეთ კომენტარს აკეთებს: *"ჩვენ არ დავნებდებით. "ფიორენტინასთან" ინტენსიური მოლაპარაკებები გვექნება. ტრანსფერების ბოლო ვადა 31 აგვისტოა და ვნახოთ, რა მოხდება".*

გუშინ საღამოს კი, იტალიურმა წყაროებმა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. **ანდრეი არშავინის** აგენტმა **დენის ლახტერმა** ქვა გახეთქა - "ფიორენტინა" ჩემს კლიენტს **ადრიან მუტუს** შემცვლელად მოიაზრებსო. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რუს ვარსკვლავზე დიდი მოთხოვნაა. როგორც ჩანს, ფლორენციელებს მუტუს შენარჩუნების დიდი იმედი არ აქვთ და თადარიგს იჭერენ. არშავინის ყიდვა "ვიოლას" 10 მილიონი გირვანქა დაუჯდება, ხოლო თუ მუტუ "რომაში" 16 მილიონად წავა, ფლორენციელებს "ხურდაც" დარჩებათ. ესეც თქვენი ბიზნესი.

**გიორგი გელაშვილი**



ანდრეი არშავინი

მწვრთნელი

# სკოლარის სკოლა

## ანუ შესაძლებლის მაქსიმუმი



**რუსებს ანეკდოტივით აქვთ: ქვეყანაში მმართველი "მელოტი-თმიანი-მელოტის" პრინციპით იცვლებაო. რაკი რომან აბრამოვიჩი რუსეთის მოქალაქეა, ეტყობა, მწვრთნელების შერჩევისას ისიც რაღაც პრინციპებს მისდევს. რუსეთის მმართველთაგან განსხვავებით, "ჩელსის" დამრიგებლები "ქარიზმატული-უჩინარი-ქარიზმატულის" პრინციპით იცვლებიან. მაგრამ, შეიძლება, მთლად ასეც არ არის და ინგლისში ერთგვარ მოდად იქცა უცხოელ მწვრთნელთა დაქირავების პრაქტიკა. სხვა გუნდებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ბოლო "არისტოკრატული" მაგალითებიც კმარა: იტალიელი კლაუდიო რანიერი, პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო, ისრაელის შვილი ავრამ გრანტი, ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი...**

ასეა თუ ისე, ინგლისური ფეხბურთი, კერძოდ პრემიერლიგა, კიდევ ერთი საინტერესო სამწვრთნელო ფიგურით გამდიდრდა. არ იქნებოდა სწორი, მისთვის დღეიდანვე დითირამბები მიეძღვნათ ან გაუგონარი წარმატებები ეწინასწარმეტყველათ. მაგრამ ის კი უდავოა, რომ **ლუიშ ფელიპე სკოლარი** აღიარებული ლიდერია. და არ აქვს მნიშვნელობა, სად მუშაობს - ბრაზილიის ნაკრებში, პორტუგალიის ნაციონალურ გუნდსა თუ "ჩელსიში". ლიდერი ყველგან ლიდერია...

როცა "დიდ ფილზე" საუბრობენ, იქვე ეპითეტებს მოუხმობენ ხოლმე - "მკაცრი", "ხისტი", "ძალაუფლების მოყვარული"... ბოლო დროს "სერჟანტიც" კი უწოდეს. თუმც არც ისეა საქმე, თითქოს სკოლარის ყველა მეთოდიდან მხოლოდ "მათრახია" მთავარი. აბა, გაიხსენეთ, რას უწოდებდნენ ბრაზილიის იმ ნაკრებს, ფელიპაოს ხელში მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა? მართალი ხართ - "სკოლარის ოჯახი". როგორი დარაზმული და მეგობრული გუნდი იყო: **რონალდო, რივალდო, რობერტო კარლოსი... რონალდინიოც...**

ახლა კი, როგორც ინგლისელები ამბობენ, "სკოლარიმ როგორმე ჟოზე მოურინიოს ფეხსაცმელები უნდა მოირგოს". და მარტო ეს არა, უნდა ითამაშოს ის როლი, რასაც თავის დროზე "განსაკუთრებული" პორტუგალიელი თამაშობდა. კაცმა რომ თქვას, მოურინიოს "განსაკუთრებულობა" ნამდვილად არ ყოფილა პრობლემა **რომან აბრამოვიჩისთვის**, რომელიც გაცილებით პრაგმატული პატრონ-მმართველი გამოდგა, ვიდრე სხვა... იქნებ, მასზე ფულიანი ბოსიც კი. მას არც ის შეუშლის ხელს, თუკი "ჩელსიში" კიდევ ერთი "განსაკუთრებული კაცი" გამოჩნდება - ამჯერად, სკოლარი.

რატომ წავიდა **ავრამ გრანტი**? ხომ შეიძლებოდა, გვეფიქრა - აი, რომანს აწყობს ჩუმი, შეუმჩნეველი და მორჩილი ავრამი, მართლაც მამა აბრამის ბატკანი, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე. არა, აბრამოვიჩი სწორად საზღვრავს: მწვრთნელი ფიგურა უნდა იყოს, თუნდაც ამოუცნობი, რთული, ჯუჯღუნა, პრინციპული... მაგრამ მაინც ფიგურა!

სკოლარის, ალბათ, გაუადვილებს საქმეს ის გარემოება, რომ... ასე ვთქვათ, გაშლილ სუფრაზე მივიდა. "ჩელსიში", თითქმის, უკვე ყველაფერი დალაგებულია, ყველა ტალახი ნასროლია და ყველა ჯოხიც გადატეხილია. მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს "სერჟანტს" პრობლემები არ ექნება. ექნება, როგორ არა, და საკმაოდ ბევრიც. ზოგს რომ ჰგონია, იტალიაში მუშაობა მწვრთნელისთვის ჯოჯოხეთიაო, მეტადრე მედიასთან ურთიერთობის კუთხით, ერთი ისიც გავიხსენოთ, რა დღეში ჩააგდო ინგლისურმა პრესამ **სვენ გორან ერიქსონი**, რომელსაც საფეხბურთო ასოციაციის მდივანთან ფლირტი ცხვირიდან ძმრად ადინა. აქ, ერიქსონს არც ვამტყუნებთ და არც ვამართლებთ, უბრალოდ, მედია ყველგან მედიაა და სკოლარი ამ ფრონტზე ბრძოლისთვისაც მზად უნდა იყოს. და ერთიც ნუ დაგვავიწყდება: თუკი ცივსისხლიანი შვედი მძაფრ სტატიებზე არ რეაგირებდა და ცალ ყურში ატარებდა, ფელიპაოს შემთხვევაში საქმე გვაქვს ემოციურ ბრაზილიელთან...

ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ისიც, რომ სკოლარი უფრო სანაკრებო მწვრთნელია, ვიდრე საკლუბო. გასაგებია, რომ კლუბში, სადაც მატჩებისთვის მოსამზადებლად სადღაც 5-6 დღე გრჩება, და ზოგჯერ ნაკლებიც, თავიდან უთუოდ გაუჭირდება გარემოსთან ადაპტაცია. პირველ რიგში, მან ძირფესვიანად უნდა გადახედოს ფიზმომზადების პრინციპებს. თუკი ეროვნულ გუნდში ფეხბურთელები (რომლებიც სხვადასხვა კლუბებიდან მომზადების განსხვავებული დონით მოდიან) სწრაფად უნდა მოიყვანო წესრიგში, "ჩელსიში" ისე უნდა გადაანაწილო ძალები, რომ ზედატვირთული სეზონის ბოლოს, მოთამაშე მოედანზე უგონოდ არ დაეცეს. სხვა სიმღერაა ინგლისელთა საშობაო-საახალწლო სიგიჟე. ამ ტიპის გამოცდილება სკოლარისთვის მეტისმეტად უცხო ხილია.



**მომდევნო საკითხია ინგლისური ფეხბურთის ტრადიციული სპეციფიკა. აქ კი, პრობლემები თითქოს არ უნდა იყოს. მაშინ, როცა სკოლარი საკუთარ თავს თავად ქმნიდა, პრაქტიკულად, ყველა გულშემატკივარს წინასწარ შეეძლო ეთქვა, რა სქემით ითამაშებდა "გრემიო". რა თქმა უნდა, 4-4-2-ით: აგრესიული და მკაცრი ფეხბურთი, ცენტრფორვარდებზე გათვლილი მუდმივი ჩაკიდებებით... სწორედ ამგვარი ბურთაობით შეიქმნა "დიდი ფილის" რეპუტაცია.** ჰოდა, გამოდის, რომ ტრადიციული ბრიტანული სტილი სკოლარისთვის კარგად ნაცნობი მენიუა. ახლა, ამ მენიუს ის დაამატებს ჭკვიანურ, კარგად ორგანიზებულ ფეხბურთს და... ალბათ, "რაღაც" გამოვა.

მესამე საკითხი. აქ უფრო რთულადაა საქმე. "ჩელსიში" 15-მდე ქვეყნის წარმომადგენელი თამაშობს, და თან იმ ქვეყნების, რომლებიც კულტურითა თუ ტრადიციებით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ამგვარი კომპოტი კი სკოლარის ნამდვილად არ გაუსინჯავს. პირველ თვეებში, სწორედ ამ ვითარებასთან შეგუება, ამ ვითარების მართვა იქნება ბრაზილიელი სპეციალისტისთვის მთავარი გამოწვევა. ალბათ, ფელიპაო ამ სიტუაციას გაუმკლავდება. როგორ? ბრაზილიაში მუშაობისას ის ყოველთვის აპელირებდა თავის თანამემამულეთა რელიგიურობაზე, მაგრამ პორტუგალიაში ამგვარმა მიდგომამ არ იმუშავა. იმიტომ, რომ პორტუგალია ევროპაა...

ამიტომ, ადგა სკოლარი და ფეხბურთელებთან ინდივიდუალურ საუბრებსა თუ შეგონებებზე გააკეთა აქცენტი. თითოეულ მოთამაშეს თავისებური მიდგომა სჭირდება - ესეც თქვენი ახალი მეთოდი ფელიპაოს სამზარეულოში. პრინციპში, ამან გაამართლა კიდეც. მეტიც, სპორტული ფსიქოლოგი **რეჟინა ბრანდაუ**, რომელიც საკუთარი ხუთი თითივით იცნობს სკოლარის, თვლის, რომ ის, უბრალოდ, გენიოსია ფეხბურთელებთან ინდივიდუალური მუშაობის საკითხებში.

ბუნდოვანია აბრამოვიჩთან მისი ურთიერთობის პერსპექტივაც. ქორწინების პირველი ღამე ნორმალური იყო, რა იქნება თაფლობის თვის მერე? და ვინ იცის ეს? არც არავინ. ერთი რამეა, რომ სკოლარიმ უკვე ისროლა პირველი კენჭი პატრონის ბოსტანში - ჩემს საქმეში ცხვირს არავის ჩავაყოფინებო. მწვრთნელსაც და ბოსსაც ისლა დარჩენიათ, იმედი ჰქონდეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**და კიდევ: მოვა დრო და სკოლარის "ჩელსი" რაღაცნაირად გაგვახსენებს მოურინიოს "ჩელსის", მაგრამ არა სათამაშო სქემებით, არამედ საბაზისო პრინციპებით. უნდა ველოდოთ, რომ "ჩელსი" იქნება არა იმდენად სანახაობაზე დამყარებული, არამედ ორგანიზებული გუნდი. საკამათო არ უნდა იყოს, რომ სკოლარის გუნდებს ამ ყბადაღებული სანახაობით ძლიერი ინდივიდუალისტები აზავებდნენ. ფელიპაო კი ის მწვრთნელია, ვინც კარგად უწყის, თუ როგორ უნდა გამოიყენო ამა თუ იმ ფეხბურთელის ძლიერი მხარეები, ანუ გამოწურო შესაძლებლის მაქსიმუმი. "ჩელსის" შემთხვევაში, ეს მაქსიმუმი ორი უმნიშვნელოვანესი ტურნირის (პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა) მოგებაა... ჰო, ცოტა იღბალიც იქნება საჭირო...**

**გიორგი გელაშვილი**



იურგენ კლოპი

გერმანია. სუპერთასი

# კლოპომ კლინსი დასცა!

## სუპერთასი დორტმუნდში დარჩა, კლინსმანი იხტიბარს არ იტეხს...

**ბორუსია (დ)–ბაიერნი 2:1**

**ბორუსია**: ვაიდენფელერი, რუკავინა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, დედე, კელი, ბლაშჩიკოვსკი (60. კრუსკა), ბაკლი (46. კრინგე), ჰაინალი (60. ფედერიკო), ვალდესი (71. კლიმოვიჩი), პეტრიჩი (86. სადრიაი).

**ბაიერნი**: რენზინგი, სანიოლი (46. ვან ბუიტენი), ლუსიო, დემიკელისი, ლელი, ბოროვსკი (46. ოტლი), ვან ბომელი, ჰამით ალთინთოფი (71. ექიჩი), შვაინშტაიგერი (46. კროოსი), ტონი (46. პოდოლსკი), კლოზე (46. ნგვენია).

**გოლები**: 1:0 ბლაშჩიკოვსკი (29), 2:0 ჰაინალი (33), 2:1 ექიჩი (73)

**მაყურებელი**: 47 100

**იურგენ კლინსმანის** "ბაიერნმა" სეზონის პირველივე სერიოზული მატჩი წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერმა კლინსის ხელში ცუდი სტარტი აიღო. ბავარიელებმა სუპერთასის "ფინალი" (გერმანიის თასის ფინალისტი ჩემპიონის წინააღმდეგ) დორტმუნდში, "ვესტფალენშტადიონზე" ადგილობრივ "ბორუსიასთან" 1:2 წააგეს. ამ მარცხის გამო "ბაიერნის" კრიტიკის ქარცეცხლში გატარება საჭირო არ არის, მაგრამ მაინც: პირველი თამაში ყოველთვის უნდა მოიგო.

სამაგიეროდ, "ვესტფალენშტადიონზე" შეკრებილმა 47 100-მა ქომაგმა ვესტფალიური კლუბის გამარჯვება და ახალი სეზონის ტიტულით დაწყება იზეიმა. კლინსმანისგან განსხვავებით, დორტმუნდელთა ახალმა დამრიგებელმა **იურგენ კლოპმა** თავისი მოღვაწეობა ჩინებულად დაიწყო, რისთვისაც უდიდესი ოვაციები დაიმსახურა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, "დორტმუნდმა" "კლოპის" ხელში ლაღი ფეხბურთი ითამაშა. სწორედ ეს სურდათ ქომაგებს.

არადა, ვერ ვიტყვით, რომ ბავარიელებმა შესუსტებული შემადგენლობით ისპარეზეს. მართალია, მატჩის წინ კლინსმანმა თქვა, რომ ნამყვან ფეხბურთელებს დაასვენებდა, რის გამოც დორტმუნდელთა გულისწყრომა დაიმსახურა, მაგრამ რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში მთავარი როლის შემსრულებლები მაინც ვიხილეთ. "ბაიერნს" მხოლოდ **ფილიპ ლამი** და **ზე რობერტო** აკლდნენ. ჰო, რიბერიც, რომელიც ტრავმირებული გახლავთ.

ძირითადში იყო **ლუკა ტონი**, რომელიც ჯერ კიდევ ისეთ ფორმაშია, როგორშიც ევროპის ჩემპიონატზე იყო. ამის დასტურად, "ბორუსიის" კართან მე-7 წუთზე შექმნილი მომენტი გამოდგა, როცა იტალიელმა მეტოქის კარს ბურთი 10 მეტრიდან ააცილა. ამის შემდეგ კი, ტონი მოედანზე აღარავის შეუმჩნევია და კლინსმანმა ის შესვენებაზე **ლუკას პოდოლსკით** შეცვალა. მეორე ფორვარდ **მირო კლოზეს** 27-ე წუთზე შეექმნა მომენტი, როცა **ტიმ ბოროვსკისგან** (სხვათა შორის, დებიუტი ჰქონდა) იდეალური პასი მიიღო, **ვაიდენფელერთან** პირისპირ გავიდა, "ბორუსიის" მეკარესაც გასცდა, მაგრამ ცარიელ კარს ხუთი მეტრიდან ააცილა.

მერე კი ვესტფალიელთა რიგი დადგა და კლოპის შეგირდებმა თავიანთი შანსები გამოიყენეს. 29-ე წუთზე **კრისტიან ლელმა ტამაშ ჰაინალის** პასი ვერ ჩაჭრა, შედეგად, პოლონელ ნახევარმცველ **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** ისლა დარჩენოდა, რომ ანგარიში გაეხსნა - 1:0. "კუბას" გოლი კლოპმა ჩვეულებისამებრ გადარეულივით იზეიმა. სულ რაღაც 4 წუთში "ბორუსიამ" მეორედ დალაშქრა ბავარიელთა კარი: **დემიკელისმა** საჯარიმოს მისადგომებთან ხელით ითამაშა, ჯარიმა, 22 მეტრიდან, დორტმუნდელთა ახალწვეულმა პლეიმეიქერმა ჰაინალმა შეასრულა და თანაც, უზადოდ! რენზინგმა დარტყმის შემდეგ ერთი ნაბიჯი კი გადადგა, მაგრამ აღარ გადამხტარა - ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე გოლის დროს, კლინსმანმა გაღიმება სცადა, მაგრამ გულახდილი ღიმილი ვერ გამოუვიდა - აშკარა იყო, რომ ორივე შემთხვევაში ძალიან გაბრაზდა. კლინსიმ შესვენებაზე ტაქტიკა შეცვალა: 4-4-2 3-5-2-ად გადააკეთა, რამაც შედეგი გამოიღო - "ბაიერნის" შეტევები გაცილებით სახიფათო გახდა. 72-ე წუთზე ჩინებულ ფორმაში მყოფმა **ტონი კროოსმა** ახალგაზრდა **მეჰმეთ ექიჩის** გოლი გაატანინა, მაგრამ მერე ბავარიელებს დაღლა დაეტყოთ და მეტი აღარაფერი გაუკეთებიათ. განსაკუთრებით ცუდად გამოიყურებოდა პოდოლსკი, რომელსაც არაფერი გამოუვიდა.

**იურგენ კლინსმანი**: *"ექვსი დღეა, რაც ნაკრების ფეხბურთელები დაგვიბრუნდნენ. შესაბამისად, ისინი ჯერ კიდევ ცუდ ფორმაში არიან. საერთო ჯამში უკმაყოფილო არ ვარ და ვერც ვიქნები".*

**იურგენ კლოპი**: *"ვამაყობ ამ გამარჯვებით, მაგრამ ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. ძალიან მიხარია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ "ბაიერნზე" ძლიერები ვართ".*

**გოტფრიდ ლენცი**



ბლაშჩიკოვსკის დარტყმა და 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები

# წყალში გადაყრილი 140 მილიონი

## თავდამსხმელთა ათი ყველაზე წარუმატებელი ტრანსფერი ინგლისურ პრემიერლიგაში

ევროპასა და ამერიკაში საკრედიტო კრიზისი მძვინვარებს, მაგრამ პრემიერლიგის კლუბები ეკონომიკურ პრობლემებს არად დაგიდევენ. ისინი კვლავაც დიდი შემართებით ხარჯავენ ფულს. ინგლისის უმაღლესი დივიზიონის კლუბები ღირსების საქმედ მიიჩნევენ ტრანსფერებისას დიდი თანხის გადახდას.

"მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის გრანდი არ არის, თუმცა მან უპრობლემოდ გამონახა 18 მილიონი გირვანქა ბრაზილიელი თავდამსხმელის, ჟოს შესაძენად. ეს უკანასკნელი "სიტის" ისტორიაში უძვირესი ფეხბურთელია. კიდევ უფრო სუსტი გუნდია "ბოლტონი". გასულ სეზონში ის ძლივს გადაურჩა პრემიერლიგიდან გავარდნას. შარშანდელი კრიზისი რომ აღარ განმეორდეს, "უონდერერსის" ხელმძღვანელობამ შვედ თავდამსხმელ იოჰან ელმანდერში 10 მილიონი გირვანქა გადაიხადა.



ანდრეი შევჩენკო

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტრანსფერებში დახარჯული დიდი თანხა წარმატების გარანტია არ არის. პრემიერლიგას უფრო ძვირადღირებული თავდამსხმელებიც ახსოვს, რომელთაც ავანსად გაცემული იმედები ვერ გაამართლეს. "სანმა" ინგლისის ელიტური დივიზიონის ათი ყველაზე წარუმატებელი ფორვარდი გაიხსენა. სიაში მხოლოდ ის ფეხბურთელები მოხვდნენ, რომელთა შესაძენად 10 მილიონზე მეტი გადაიხადეს. უფრო იაფი თავდამსხმელები - ბოშკო ბალაბანი, ფრენსის ჯეფერსი, კორადო გრაბი და როლანდო ბიანკი ათეულს მიღმა დარჩნენ.

მაშ ასე, ათეული, რომელშიც 140 მილიონი გირვანქა - თითქმის 300 მილიონი დოლარი დაიხარჯა. მიმომხილველთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კლუბებმა ეს თანხა წყალში გადაყარეს.

### 10. ხოსე ანტონიო რეიესი
*არსენალი, 10.5 მილიონი*

ესპანელი ფორვარდი ლონდონში გულხელდაკრეფილი არ მჯდარა, მაგრამ არც იმხელა ეფექტი მოუხდენია, როგორსაც ელოდნენ. "სევილიიდან" ტრანსფერის შემდეგ, რეიესმა "არსენალში" სამი სეზონი გაატარა, 69 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 16 გოლი შეაგდო. 16 გოლი სამ წელიწადში თავდამსხმელისთვის საკმაოდ მოკრძალებული შედეგია.

### 9. ჯიბრილ სისე
*ლივერპული, 14 მილიონი*

მერსისაიდელებმა ფორვარდის ტრანსფერზე ორი წელიწადი იმუშავეს. ის 2004 წლის ზაფხულში, 14 მილიონად შეიძინეს. იმავე წლის ოქტომბერში, ფეხბურთელმა ფეხი მოიტეხა. 2006 წლის ივნისში მან მეორე უმძიმესი ტრავმა მიიღო. ჯიბრილმა "ლივერპულში" სამი სეზონი გაატარა და 49 შეხვედრაში მხოლოდ 11 გოლი შეაგდო. "ენფილდზე" გადასვლამდე, ის ზედიზედ ორჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. სისემ "ოსერის" მაისურით 128 შეხვედრაში 70 გოლი მიითვალა. მას ახალი **რობი ფაულერი** და **მაიკლ ოუენი** უნოდეს, მაგრამ "ლივერპულის" მიერ გადახდილმა 14-მა მილიონმა უშედეგოდ ჩაიარა.

### 8. დარენ ბენტი
*ტოტენჰემი, 17 მილიონი*

დღემდე გამოცანად რჩება, რატომ გადაიხადეს ამ თავდამსხმელში 35 მილიონი დოლარი. "ჩარლტონიდან" ბენტის ტრანსფერი დაახლოებით იმავე პერიოდში შედგა, რა დროსაც **ტიერი ანრი** "არსენალიდან" "ბარსელონაში" გაყიდეს. კატალონიელებმა ფრანგი ვარსკვლავი 13 მილიონ გირვანქად შეიძინეს. "ტოტენჰემს" ბენტი ოთხი მილიონით ძვირი დაუჯდა. მან 27 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი შეაგდო. სპეკულაციების თანახმად, **ხუანდე რამოსს** ბენტის გაყიდვა სურს. ამ ფეხბურთელში არათუ 17 მილიონს, მასთან მიახლოებულ თანხასაც კი არავინ გადაიხდის.

### 7. ადრიან მუტუ
*ჩელსი, 16 მილიონი*

რუმინელი ფორვარდი "ჩელსიში" 2003 წლის ზაფხულში ჩავიდა. მუტუმ სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო და პირველ სამ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. შემდეგ გოლების რაოდენობამ იკლო. ლონდონში გატარებული წელიწადისა და ორი თვის განმავლობაში, ადრიანს 38 თამაში და 10 გოლი დაუგროვდა. 2004 წლის ოქტომბერში, მუტუმ დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა. მას ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოუჩინეს. **ჟოზე მოურინიომ** მუტუს კარისკენ მიუთითა. მას შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. სასჯელის ამოწურვამდე, 2005 წლის იანვარში, მუტუმ "იუვენტუსთან" გააფორმა კონტრაქტი. "არისტოკრატებმა" ტურინელებს კომპენსაციის გადახდა მოსთხოვეს. ფინანსური დავა დღემდე არ ამოწურულა. მიმდინარე წლის 6 ივნისს, ფიფამ ფეხბურთელს "ჩელსის" სასარგებლოდ 9.6 მილიონი გირვანქის გადახდა დააკისრა. მუტუ განაჩენს ასაჩივრებს. პერსპექტიული თავდამსხმელის ტრანსფერი ლონდონურ გრანდს თავის ტკივილად გადაექცა.

### 6. სტივ მარლე
*ფულჰემი, 11.5 მილიონი*

2001 წლის ზაფხულში, "ფულჰემმა" "მანჩესტერ იუნაიტედის" შესაფერისი ხელგაშლილობა გამოიჩინა. მან ლიონელი ფორვარდი კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 11.5 მილიონ გირვანქად შეიძინა. მარლემ ლონდონურ კლუბში ოთხი სეზონი გაატარა, 54 თამაში ჩაატარა და 11-ჯერ დაამწუხრა მეტოქეები. მარლეს ტრანსფერი პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარუმატებელ გარიგებად მოინათლა.

### 5. სერგეი რებროვი
*ტოტენჰემი, 11 მილიონი*

ვინ იფიქრებდა, რომ რებროვსა და **ანდრეი შევჩენკოს** წარუმატებელი თავდამსხმელების სიაში ვნახავდით? რებროვმა 1990-იანი წლების მიწურულს გაითქვა სახელი, იმ დროს, როდესაც კიევის "დინამომ" დაუვიწყარი თამაშების სერია ჩაატარა. 2000 წლის ზაფხულში, "ტოტენჰემმა" ის 11 მილიონ გირვანქად შეიძინა. სერგეი "უაით ჰართ ლეინზე" 2004 წლამდე დარჩა (აქედან ერთი წელი იჯარით "ფენერბაჰჩეში" გაატარა). მან 59 შეხვედრაში 10 გოლს მოუყარა თავი. 2004 წლის ზაფხულში ის მეორე ლონდონურ კლუბს, "ვესტ ჰემს" გადაულოცეს.

### 4. კრის სატონი
*ჩელსი, 10 მილიონი*

"ჩელსიმ" სატონი 1999 წლის ზაფხულში შეიძინა. მაშინდელი 10 მილიონის ექვივალენტური თანხა დღეს ასტრონომიულ მასშტაბებს მიაღწევდა. სატონი "ბლექბერნის" გამორჩეული ვარსკვლავი იყო, მაგრამ ლონდონში გატარებული ერთი წლის განმავლობაში 28 თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. 2000 წლის ზაფხულში ის გლაზგოს "სელტიკს" გადაულოცეს.

### 3. ელ-ჰაჯი დიუფი
*ლივერპული, 10 მილიონი*

სენეგალელი თავდამსხმელი "ბოლტონში" ირიცხება. ის პრემიერლიგის ერთი ჩვეულებრივი თავდამსხმელია. უცნაურია, რომ 2002 წლის ზაფხულში, დიუფი "ლივერპულში" დიდი ზარ-ზეიმით ჩაიყვანეს. ფეხბურთელის სარფიან ტრანსფერს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სენეგალის ნაკრების წარმატებამ შეუწყო ხელი. "ლანსს" იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ფული გადაუხადეს. დიუფმა "ენფილდზე" 55 მატჩში მხოლოდ სამი გოლი შეაგდო. მერსისაიდელები მას დიდი სიხარულით დაემშვიდობნენ.

### 2. ალბერტ ლუკე
*ნიუკასლი, 10 მილიონი*

ჯორდები გაუგებარი ტრანსფერების დიდოსტატები არიან. სხვადასხვა დროს მათ გუნდში თამაშობდნენ **ჟან-ალენ ბუმსონგი, სტეფან გივარში, მარსელინო**... მაგრამ ყველაზე აბსურდული ტრანსფერის გმირი, უდავოდ, ესპანელი თავდამსხმელია. ალბერტ ლუკე "ნიუკასლში" 2005 წლის ზაფხულში, ლა კორუნიის "დეპორტივოდან" გადაიყვანეს. მან ორ სეზონში 20 თამაში ჩაატარა და ერთი გოლი შეაგდო.

### 1. ანდრეი შევჩენკო
*ჩელსი, 30 მილიონი*

უკრაინელმა ფორვარდმა ინგლისს 2006 წლის ზაფხულში მიაშურა. ლონდონელებმა "მილანს" 30 მილიონი გირვანქა (60 მილიონი დოლარი) მიუთვალეს. შევჩენკო ბრიტანეთის უძვირესი ფეხბურთელია. ბრიტანელებს ერთ ტრანსფერში ამხელა თანხა არასოდეს გადაუხდიათ. შევა მთავარი მწვრთნელის უკითხავად შეიძინეს. შესაძლოა, მისი წარუმატებლობის მიზეზი ეს იყოს. მაგრამ ანდრეის არც ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ გამოუჩენია თავი. იტალიიდან ინგლისში გადასული ვარსკვლავი საკუთარი თავის აჩრდილს დაემგვანა. სულ რაღაც ოთხი წლის წინათ შევჩენკო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ლონდონი 2012

# ბრიტან იუნაიტედი: მზადება დაიწყო

## ახალი იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის პოსტზე სერ ალექს ფერგიუსონი უალტერნატივოა

ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ლორდი **კოლინ მოინიჰენი** ბრიტანეთის საფეხბურთო ნაკრების შექმნაზე მუშაობს. ლორდ მოინიჰენს მიზნის მისაღწევად და ოთხი დამოუკიდებელი საფეხბურთო ასოციაციის დასაყოლიებლად ოთხი წელიწადი აქვს. მისი პროექტი 2012 წლის თამაშებისას მზად უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ოთხი წლის შემდეგ, ზაფხულის ოლიმპიადას დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი, ლონდონი უმასპინძლებს:

*"ბრიტანეთის ნაკრები თამაშების მიმართ ინტერესს ერთიორად გაზრდის. იმედია, გაერთიანებული გუნდი ოლიმპიური ოქროსთვის იბრძოლებს. ჩვენი ქვეყანა ვალდებულია, ლონდონის თამაშებზე საფეხბურთო გუნდით წარდგეს. პირობას გაძლევთ, რომ მომავალი ოლიმპიადისთვის დიდ ბრიტანეთს საფეხბურთო ნაკრები ეყოლება. ცხადია, ერთიანი გუნდის მთავარ მწვრთნელად უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტმა უნდა იმუშაოს. ჩვენი და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის აზრები ერთმანეთს ემთხვევა. ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა სერ ალექს ფერგიუსონს უნდა ჩავაბაროთ. არის კიდევ ერთი ვარიანტი: მოვძებნოთ მწვრთნელი, რომლის ავტორიტეტი სერ ალექსის ავტორიტეტს არაფრით ჩამოუვარდება. ჩემი აზრით, ასეთი მწვრთნელის პოვნა შეუძლებელია. გამოდის, რომ სერ ალექსი უალტერნატივო კანდიდატია"*, - განუცხადა ლორდმა მოინიჰენმა "დეილი მეილს".

თუ უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციები გაერთიანებული გუნდის შექმნაზე უარს იტყვიან - რისი უფლებაც მათ, რა თქმა უნდა, აქვთ - ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას მიმართავს და მას დიდი ბრიტანეთის სახელით გამოსვლას შესთავაზებს. 2012 წლისთვის ერთიანი გუნდის შექმნაზე დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ აქამდე საუბარი არაოფიციალურ დონეს არ სცდებოდა. ორი დღის წინათ ერთიანი გუნდის შესახებ პირველი ოფიციალური განცხადება ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ლორდმა **სებასტიან კოემ** გააკეთა. გუშინ, მის განცხადებას ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი უფრო კატეგორიული კომენტარით გამოეხმაურა. მომავალ გუნდს უკვე დაარქვეს "ბრიტან იუნაიტედი". ამ გუნდის გარშემო ვნებათაღელვა დღითიდღე მატულობს. არადა, ლონდონის ოლიმპიადამდე მთელი ოთხი წელიწადია. "დეილი მეილმა" ერთიანი ოლიმპიური ნაკრების თემას საინტერესო ინფორმაცია დაურთო. ვინ ითამაშებდა დიდი ბრიტანეთის გუნდში, ლონდონის ოლიმპიადა წლეულს რომ იმართებოდეს? და ვინ შეიძლება ითამაშოს ოთხი წლის შემდეგ, ბრიტანეთის დედაქალაქში? გთავაზობთ ბრიტანეთის ორი ნაკრების "დეილიმეილისეულ" ვერსიას:

### ლონდონის ოლიმპიადა წელს რომ იმართებოდეს

*კრეიგ გორდონი (შოტლანდია), მიკა რიჩარდსი (ინგლისი), გარეთ ბეილი (უელსი), ჯონი ევანსი (ჩრდილოეთი ირლანდია), ჯონ ტერი* (ინგლისი, კაპიტანი), სტივ ჯერარდი* (ინგლისი), თეო უოლკოტი (ინგლისი), ტომ ჰადლსტონი (ინგლისი), კაილ ლეფერტი (ჩრდილოეთი ირლანდია), უეინ რუნი (ინგლისი), ეშლი იანგი (ინგლისი).*

**შენიშვნა:** *"წლევანდელ" ოლიმპიურ ნაკრებში შეყვანილი არიან ფეხბურთელები, რომლებიც 1985 წლის 1 იანვრის შემდეგ დაიბადნენ; ვარსკვლავებით აღნიშნულია მათი გვარები, რომლებიც 23 წელს გადასცდნენ, მაგრამ ოლიმპიადაზე ასპარეზობა მაინც შეუძლიათ, რაკი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდება ნაკრებებს უფლებას ანიჭებს, შემადგენლობაში შეიყვანონ 23 წელს გადაცილებული სამი ფეხბურთელი.*

### ბრიტანეთის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა 2012 წლის ოლიმპიადაზე

*კრეიგ გორდონი* (შოტლანდია), კრის გუნტერი (უელსი), გარეთ ბეილი (უელსი), ჯეიმს ტომკინსი (ინგლისი), მიკა რიჩარდსი* (ინგლისი), ჯონ პოლ კისოკი (ინგლისი), კრის კურანი (ჩრდილოეთი ირლანდია), აარონ რემსი (უელსი), ჯონ ფლეკი (შოტლანდია), უეინ რუნი* (ინგლისი), თეო უოლკოტი (ინგლისი).*

**შენიშვნა:** *2012 წლის ნაკრებში შეყვანილი არიან ფეხბურთელები, რომლებიც 1989 წლის 1 იანვრის შემდეგ დაიბადნენ; ვარსკვლავებით აღნიშნულია მათი გვარები, რომლებიც 2012 წელს ოლიმპიურ ასაკს გადაცილებული იქნებიან.*



ბრიტან იუნაიტედი მანჩესტერ იუნაიტედის შემადგენლობაში: უელსელი რაიან გიგზი, შოტლანდიელი დარენ ფლეტჩერი და ინგლისელი უეინ რუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენს

## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

სიდნეი. XXVII ოლიმპიადა

# ბრინჯაო, კიდევ ბრინჯაო და ექვსგზის ბრინჯაო


გიორგი ვაზაგაშვილი


გიორგი ასანიძე


ელდარ კურტანიძე


მუხრან ვახტანგაძე


აკაკი ჩაჩუა


ვლადიმერ ჭანტურია

სიდნეიში უკვე მეორედ წავედით ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით. საშინაო მრავალმხრივი კრიზისი, საქართველოს ამ პერიოდისთვის ნაწილობრივ უკვე გადატანილი ჰქონდა. ჩვენი სპორტსმენების რაოდენობა ამ თამაშებზე წინასთან შედარებით არც შემცირებულა და არც გაზრდილა - 36 იყო ატლანტაში და ამდენივე გაემგზავრა სიდნეიში 2000 წელს, სადაც რიგით 27-ე ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა. ამჯერად, მსოფლიოს 199 ქვეყნის რჩეული ათლეტები შეიკრიბნენ საასპარეზოდ. ეს მაჩვენებელი სარეკორდო იყო. წინა თამაშებში სამით ნაკლები ქვეყანა და 784-ით ნაკლები ოლიმპიელი ჩაება ძვირფასი ჯილდოს ძიებაში სპორტის 34 სახეობაში. საქართველოს ნაკრებმა სპორტის 13 სახეობაში იასპარეზეს და, უნდა ითქვას, რომ ატლანტის ოლიმპიადასთან შედარებით ნაბიჯი გადაიდგა წინ - საბოლოო ჯამში 6 მედალი მოვიპოვეთ. ჯერ მედალოსნებზე ვთქვათ, შემდეგ კი ყველა ჩვენიანის შედეგებს გაგაცნობთ. მაშ ასე, დავიწყოთ 6 "ბრინჯაოთი"...

ოლიმპიადას ძიუდოისტები თამაშის პირველი დღიდანვე იწყებენ და, ცხადია, პირველი მედალოსნებიც აქ ვლინდებიან. სიდნეიში ჩვენ სპორტსმენებს კარგი მუხტი მისცა **გიორგი ვაზაგაშვილმა**, რომელიც თავის წონაში (66 კგ.) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ასევე ოლიმპიადის მესამე პრიზიორები გახდნენ: **გიორგი ასანიძე** (ძალოსნობა), **აკაკი ჩაჩუა** (ბ/რ ჭიდაობა), **ვლადიმერ ჭანტურია** (კრივი), **მუხრან ვახტანგაძე** (ბ/რ ჭიდაობა) და **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა).

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მე-5 იყო **გენადი ჩხაიძე**, მე-8 **ტარიელ მელელაშვილი**, მე-14 **კობა გულიაშვილი**, მე-16 **ალექსანდრე ცერცვაძე**, მე-20 **მირიან გიორგაძე**; თავისუფალი ჭიდაობა: მე-6 **დავით პოლოსიანი**, მე-10 **ალექსი მოდებაძე**, მე-14 **გურამ მჭედლიძე**, მე-15 **ოთარ თუშიშვილი**, მე-17 **ემზარ ბედინეიშვილი** ძიუდო: მე-7 **ივერი ჯიქურაული**, სანუგეშო წრიდან გამოეთიშა **ნესტორ ხერგიანი**, პირველი წრიდან ველარ გავიდნენ **გიორგი რევაზიშვილი, გიორგი გუგავა** და **ალექსი დავითაშვილი**; კვალიფიკაცია ვერ გაიარეს მძლეოსნობაში - **თამარ შანიძემ** და **რუსლან რუსიძემ**; ცურვაში - **ზურაბ ბერიძემ**. ტანმოვარჯიშე **ილია გიორგაძე** მე-6 იყო; ბატუტზე მხტომელი **რუსუდან ხოფერია** - მე-7; ტყვიის მსროლელი **ნინო სალუქვაძე** - მე-11 და 25-ე; მერვედფინალში ჩარჩნენ მშვილდოსან ქალთა ნაკრები და მოკრივე **თეიმურაზ ხურცილავა**. ოცდამეთორმეტედფინალიდან გამოეთიშნენ ოლიმპიურ ტურნირს მშვილდოსნები **ასმათ დიასამიძე, ხათუნა ფუტკარაძე, ხათუნა ქვრივიშვილი**, ხოლო **ნინო უჩაძე** 28-ე და 33-ე იყო; ძალოსანმა **ვალერი სურმავამ** შეჯიბრება 27-ე ადგილით დაასრულა, **მუხრან გოგიამ** კი ტრავმის გამო შეწყვიტა ასპარეზობა. **ინგა თავდიშვილი** (მხატვრული ტანვარჯიში) 21-ე ადგილზე გავიდა, წყალში მხტომელი **ნანა ნებიერიძე** 26-ე იყო.






საერთო გუნდურ ჩათვლაში 199 ქვეყნიდან საქართველო ბრინჯაოს 6 მედლით 67-ე იყო, ანუ ორი ნაბიჯით წავიწიეთ წინ ატლანტის თამაშებთან შედარებით. სულ კი 80-მა ქვეყანამ დაიმსახურა მედალი. აქედან 11 ქვეყანა მხოლოდ ბრინჯაოს ერთ მედალს დასჯერდა. ამდენივემ მოიპოვა 2-2 "ბრინჯაო" და მათ შორის ვართ ჩვენც. გამოაკელით 199-ს 80 - აი, ამდენმა ქვეყანამ ვერ დაიმსახურა ვერც ერთი მედალი.

ავსტრალიამ, როგორც თამაშების მასპინძელმა ქვეყანამ, არნახულად გამოიდო თავი და საერთო ჯამში 58 მედლით (16, 25, 17) მეოთხე ადგილზე გავიდა, მხოლოდ 1 მედლით წააგო მესამე საპრიზო ადგილი ჩინეთთან, რომელმაც საოცრად დიდი ნახტომი გააკეთა და ოქროს 28 მედალი დაიმსახურა. ნახეთ, რა დაძაბული იყო ბრძოლა სამეულს შორის.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 40 | 24 | 33 | 97 |
| 2. რუსეთი | 32 | 28 | 28 | 88 |
| 3. ჩინეთი | 28 | 16 | 15 | 59 |

არ დაგავიწყდეთ ავსტრალია და 58 მედალი...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. საბა გავაშელიშვილი, ძიუდო

# საბა


საბა გავაშელიშვილი

თორმეტი წელიწადი გავიდა, რაც 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოისტმა **სოსო ლიპარტელიანმა** 81 კილოში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მას შემდეგ ამ წონაში მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე, მათ შორის - ოლიმპიადებზე, გამარჯვებას დანატრებული ვართ - ვინ არ მოსინჯა აქ ძალები, მაგრამ კვარცხლბეკზე ასვლა ვერავინ შეძლო. საერთაშორისო ტურნირებზე რამდენჯერმე სამბოდან გადმოსულმა **გიორგი ბაინდურაშვილმა** გაიბრწყინა, მაგრამ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე სანადელი ვერც მან აისრულა, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, სალიცენზიო შეჯიბრებებზე იმდენი მოახერხა, რომ პეკინის საგზური დაიმსახურა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას კონკურენციას უწევდა **საბა გავაშელიშვილი**, რომელმაც შედარებით ნაკლები, მაგრამ იმდენი სალიცენზიო ქულა მაინც მოაგროვა, რომ პეკინში გამგზავრების უფლება დაიმსახურა. საბოლოოდ ჩინეთში წამსვლელის ვინაობა მწვრთნელებს უნდა დაესახელებინათ. დიდი ფიქრის, განსჯისა და შანსების შედარება-შეპირისპირების შემდეგ **შოთა ხაბარელმა** საბა გავაშელიშვილის კანდიდატურას მისცა უპირატესობა.

1987 წლის 15 დეკემბერს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში დაიბადა. ჭიდაობა 5 წლისამ დაიწყო **ვაჟა მოსულიშვილის** ხელმძღვანელობით. ერთხანს **ვაჟა ბალხამიშვილი** ავარჯიშებდა. ამჟამად შოთა ხაბარელთან და **ბორის ფირცხელანთან** იმალლებს ოსტატობას. 13 წლისამ თანატოლებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მსგავს წარმატებას მომდევნო წლებშიც რამდენჯერმე მიაღწია. 2002 წელს ჭაბუკებში ევროპის პირველობა მოიგო. მომდევნო წელს საფრანგეთში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მესამე ადგილი დაიკავა. ახალგაზრდებს შორის სამბოში 2004 წლის კონტინენტის ჩემპიონს 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი ერგო. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში სამჯერ მესამე ადგილი ხვდა. წლეულს რამდენიმე სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე საპრიზო ადგილებს დასჯერდა. 21 წლის ძიუდოისტისთვის თითქოს ურიგო შედეგები არ არის, მაგრამ სპეციალისტები, უპირველესად, მწვრთნელები, უფრო მეტს მოელიან. მისი პოტენციური შესაძლებლობები ამის საშუალებას იძლევაო, ამბობენ.

ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად მაინც რატომ მიანიჭეს მწვრთნელებმა გავაშელიშვილს უპირატესობა?

- გიორგი ბაინდურაშვილი კარგი მოჭიდავეა, წარმატებულიც. ისიც იმსახურებდა ოლიმპიადაზე გამგზავრებას, მაგრამ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მედლებს ვერ შესწვდა, თანაც უპირველეს კონკურენტებთან დამარცხდა. ეტყობა, ამან განაპირობა მწვრთნელთა არჩევანი ჩემს სასარგებლოდ, - ასე ხსნის ნაკრებში ადგილის დაბევებას საბა გავაშელიშვილი.

**- პეკინში ძლიერ მეტოქეებთან მოგიწევს გამკლავება...**

- ვიცი, ბევრ მათგანს შევხვედრივარ და დამიმარცხებია კიდეც. მათ შორის არიან ლიცენზიანტები: რუსი **ბაშკაევი**, აზერბაიჯანელი **აზიზოვი**, მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგი პრიზიორი **როდრიგესი**, უკრაინელი **გონტიუკი**, რომელიც ათენის ოლიმპიადის ფინალში ჯარჯი ზვიადაურთან დამარცხდა. ყველა ფავორიტთან სუფთა გამარჯვება მაქვს მოპოვებული. თუმცა, ეს თვითდამშვიდების საშუალებას არ მაძლევს. ეროვნულ ნაკრებში გამოსვლა ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს, მით უმეტეს - დღევანდელ სიტუაციაში. იმედები უნდა გავამართლო.

**- გული თუ დაგწყვეტია რამეზე?**

- შარშან გერმანიის ტურნირის პირველ წრეში ფრანგს ვძლიე, შემდეგ შვეიცარიელ **კელერს** შევხვდი. ვაზარითა და იუკოთი ვუგებდი, ბოლოს იპონზეც დავაგდე, მსაჯებმა კი გამარჯვება მეტოქეს მისცეს. პროტესტმა შედეგი ვერ გამოიღო. რომ არა ეს მარცხი, მსოფლიო ჩემპიონატზეც გავემგზავრებოდი ბრაზილიაში.

**- კერპი თუ გყავს?**

- შოთა ხაბარელი - როგორც სპორტსმენი და როგორც პიროვნება. ცხოვრებაში ყველაფერს ალალი შრომით მიაღწია. ჩემთვის ასევე მისაბაძნი არიან **ნესტორ ხერგიანი** და **ჯარჯი ზვიადაური**. ვიცი, რომ ჯარჯის სადილისა და გზის ფული ენატრებოდა, დღეს კი ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულია და რამდენიმე ჩემპიონატის პრიზიორი. ვეცდები, მათი გზებით ვიარო.

**გურამ მოდებაძე**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: *"საბა გავაშელიშვილი მობილიზებული, მებრძოლი სპორტსმენია. შეხვედრის მსვლელობისას პაექრობაში გარდატეხის შეტანა შეუძლია. წლეულს ავსტრიის ტურნირზე მსაჯებმა აშკარად წააგებინეს სლოვენიელ ზედეჩთან. პროტესტმა ვერ გაჭრა. დამამშვიდებელ ჯგუფში ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო და მესამე ადგილი დაიკავა. ეს მაგალითიც საკმარისია მისი ბრძოლისუნარიანობის დასტურად. პეკინში ნორმალური მსაჯობა თუ იქნა, დარწმუნებული ვარ, საბა ოლიმპიდაზე თავს არ შეირცხვენს."*

**ვაჟა დანელია**

### ოლიმპიური ვიქტორინა

ეძღვნება 28-ე ოლიმპიურ თამაშებს

1. სად და როდის ჩატარდა ზაფხულის 28-ე ოლიმპიადა?
   ა - ატლანტაში 1996 წელს
   ბ - სიდნეიში 2000 წელს
   გ - ათენში 2004 წელს
2. რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 28-ე თამაშებში საქართველოდან?
   ა - 33
   ბ - 36
   გ - 40
3. რამდენი მედალი მოვიპოვეთ სულ ათენში?
   ა - 3
   ბ - 4
   გ - 5
4. მოპოვებული მედლებიდან რამდენი იყო ბრინჯაოსი?
   ა - ერთი
   ბ - ორი
   გ - არც ერთი
5. სულ რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა 28-ე თამაშებში?
   ა - 191
   ბ - 202
   გ - 214

*პასუხებს გაეცნობით რუბრიკის მომდევნო გამოშვების მასალებში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008.
ოლიმპიური მონეტის პრეზენტაცია

# იყიდეთ, სანამ დროა





გუშინ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მონეტების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას სეოკ-ის ხელმძღვანელები, სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლები, ცნობილი სპორტსმენები, მწვრთნელები და ოლიმპიური ნაკრების წევრები დაესწრნენ.

ღონისძიებას ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ამაღლობელი** გაუძღვა. მონეტები 20-ლარიანი ნომინალისაა, ბაჯაღლო ოქროს მონეტის ღირებულება 400 ლარია, ვერცხლის – 48 ლარი და მათი შეძენა ეროვნული ბანკის მუზეუმში ჯერაც შესაძლებელია. მონეტები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა, ისინი **მამუკა გონგაძის** დიზაინითაა დამზადებული და ჰოლანდიის სამეფო ზარაფხანაშია ჩამოსხმული. ოქროს მონეტა სულ 1 000 ცალია გამოშვებული, ვერცხლისა – 1 500. მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩინეთის საელჩოსთან და, შესაძლოა, მონეტები პეკინში, ოლიმპიადის მიმდინარეობისას გაიყიდოს. სხვათა შორის, ნუმიზმატების მხრიდან დაინტერესება იმდენად მაღალია, რომ ჯერ კიდევ ჩამოსხმამდე ჰოლანდიაში დაახლოებით 700 ქართული სამახსოვრო მონეტის შეკვეთა მიიღეს. დაბოლოს, გამარჯვებულ ქართველ ოლიმპიელებს ეროვნული ბანკი ამ მონეტებს საჩუქრად გადასცემს.

პეკინის ოლიმპიადის სამახსოვრო მონეტის ავერსზე გამოსახულია: ანტიკური ხანის ათლეტები, სეოკ-ის ემბლემა, საქართველოს გერბი, ნომინალის დასახელება ქართულად, წარწერა ქართულად: საქართველო და ოლიმპიური დევიზი: Citius Altus Fortius. რევერსზე არის წარწერა ქართულად პეკინი – 2008, ფონად კი პეკინის ოლიმპიური სტადიონის ხედი ჩანს, რომლის თავზეც ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. ივლისის ბაშო

# ქართული სამაია ნაგოიაში



კოკაი

ივლისის ბაშოზე პირველად, ერთ დღეს სამივე ქართველმა სუმოისტმა მოიგო, თანაც თითოეული მათგანისთვის გამარჯვება ლამის ფინალის მოგების ტოლფასი იყო.

ელიტაში **ლევან ცაგურიას (კოკაი)** გადამწყვეტი ორთაბრძოლა ჰქონდა მონღოლ **ტოკიტენკუსთან**. წაგების შემთხვევაში კოკაი ბაშოს უარყოფითი ბალანსით ასრულებდა. დაჯახებისას ოდნავ დაიბნა მონღოლი, რაც უმალ გამოიყენა კოკაიმ, რომელმაც მეტოქე დოჰიოზე დააგდო. კოკაის ბალანსი 5-7 გახდა, თუმცა მოდუნება მაინც არ შეიძლება – ქართველმა დარჩენილი სამი ორთაბრძოლაც უნდა მოიგოს, მათ შორის დღეს, ექსკომუსუბი **კაკიძოეს** წინააღმდეგ.

ყოფილი ჩემპიონი (ანუ ოძეკი) **დეჯიმა ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** პრინციპული მეტოქე გახდა, მას შემდეგ, რაც იაპონელმა ვეტერანმა მაისის ბაშოზე ქართველს კარიერაში პირველად დაამთავრებინა ტურნირი უარყოფითი ბალანსით. ტოჩინოშინს შესანიშნავი შანსი მიეცა შურისძიების, დეჯიმა წაგების შემთხვევაში უარყოფით ბალანსს „იბევებდა“. ლევანმა ბრწყინვალე სტილში გამოიყენა ეს შანსი, მან 14 წლით უფროსი რიკიშის შეტევა შეაჩერა, შემდეგ თავისკენ მოქაჩა და ისე დააგდო დოჰიოზე. ტოჩინოშინის ბალანსი 7-5 გახდა, მას დღეს ოსი **როჰოს** დამარცხებაც ჰყოფნის დადებითი ბალანსის დასაბევებლად. როჰოს 6-6 ბალანსი აქვს.

მესამე დივიზიონში დადებითი ბალანსი დაიბევა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რომელმაც უვატედაშინაგეს ილეთით **იკიოისთან** იმარჯვა. გაგამარუს ბალანსი 4-2 გახდა, ის მესამე დივიზიონში ადგილსაც შეინარჩუნებს და რეიტინგშიც წინ წავა.

იმპერატორის თასი კი ფაქტობრივად, გაინაღდა მონღოლმა იოკოძუნამ **ჰაკუჰომ**, რომელმაც ოძეკი **ჩიოტაიკაი** დაამარცხა. ჰაკუჰოს 12-0 ბალანსი აქვს. მის უახლოეს მეტოქეებს, **კოტომიცუკისა** და **ტოიოჰიბიკის** 9-9 მოგება აქვთ. გუშინ, დაბადების დღე რეკორდით აღნიშნა ჩემპიონმა **კაიომ**. ის 36 წლის შესრულდა და **ვაკანოსატოს** გამარჯვებით ელიტაში 747-ე მოგება ჩაიწერა. ამ მაჩვენებლით კაიო ყველა დროის რეკორდსმენებში მესამე ადგილზე გადავიდა, მან უკან ლეგენდარული **ტაიჰო** ჩამოიტოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ნაგოიას ბაშო

(ივლისის სუპერტურნირი)
13-27 ივლისი. აიჩის პრეფექტურა
(იაპონია)

XII დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 10)-ტოკიტენკუ (მ 6) 1:0 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 14)-დეჯიმა (მ 8) 1:0 (ჰიკიოტოში); ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; ამა (ს)-კოტოოშუ (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-გოეიდო (მ 4) 1:0; კაიო (ო)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; ასასეკირიუ (მ 2)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; კისენოსატო (კ)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; ამინიშიკი (მ 1)-ფუტენო (მ 3) 1:0; ტოჩინონადა (მ 3)-ჰომაშო (მ 6) 1:0; ბარუტო (მ 5)-ტაკამისაკარი (მ 8) 1:0

სატურნირო მდგომარეობა: 12-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა) 9-3: კოტომიცუკი (ოძეკი); ტოიოჰიბიკი (მაეგაშირა 13) 8-4: ჩიოტაიკაი (ოძეკი); კოტოოშუ (ოძეკი); კაიო (ოძეკი); ამა (სეკივაკე); ტოიონოშიმა (კ); ასასეკირიუ (მ 2); ბარუტო (მ 5); მასაცუკასა (მ 16)

XIII დღე: მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 10)-კაკიძოე (მ 15); ტოჩინოშინი (მ 14)-როჰო (მ 7); ჰაკუჰო (ი)-კაიო (ო); კოტოოშუ (ო)-ჩიოტაიკაი (ო); კოტომიცუკი (ო)-მიაბიამა (მ 5); ამა (ს)-ასასეკირიუ (მ 2); კოტოშოგიკუ (ს)-ვაკანოსატო (მ 4); კისენოსატო (კ)-ამინიშიკი (მ 1); ტოიონოშიმა (კ)-გოეიდო (მ 4); ვაკანოჰო (მ 1)-ფუტენო (მ 3); დეჯიმა (მ 8)-ჰოკუტორიკი (მ 2); ტაკამისაკარი (მ 8)-ტოჩინონადა (მ 3)

ხელბურთი. ინტერვიუ ზურაბ კაკაბაძესთან

# შარშან ნორმალურად, წლეულს უკეთესად!

## რამდენი გუნდი გვეყოლება ეროვნულ ჩემპიონატში?

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ 2007-2008 წლის სეზონი მსოფლიო უნივერსიადით დაამთავრა. წინ კი ახალი სეზონია - ევროთასები, ეროვნული ჩემპიონატი, ნაკრები გუნდები, სხვადასხვა პროექტები...

განვლილი სეზონის შესაფასებლად და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ, გუშინ, ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს ვესტუმრეთ.

- განვლილი სეზონი მთლიანობაში, ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დატვირთული და შრომატევადი აღმოჩნდა. 2007 წლის 14 აგვისტოს, ჩვენი ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მთელი სეზონის სამოქმედო გეგმა. მასში შედიოდა საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, ნაკრები გუნდების მონაწილეობა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე და სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

ჩვენს ძირითად საზრუნავს ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები შეადგენდა, სადაც გვქონდა პროგრესიც და პრობლემებიც, რასაც თავისი ახსნა აქვს.

როგორც იცით, ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ ოთხი კლუბია და აქედანაც ორი გამოკვეთილი ფავორიტი. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ წინა წლებში გვქონდა თაობებს შორის წყვეტა, რამაც მწვავე საკადრო დეფიციტამდე მიგვიყვანა. თუმცა, რაღაც დოზით გვაქვს გამონათებები და პერსპექტივა. მაგალითად, თბილისსა და რეგიონებში გვყავს 1990-92 წლებში დაბადებული ხელბურთელები, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატისთვის მომწიფებულები არიან. 1992-93 წლებში დაბადებულთა ჩემპიონატში კი რვა ქალაქის ამდენივე გუნდი გამოდის.

ცოტა გამიგრძელდა და განვლილ ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდები, რომელიც ჩემი აზრით, შედგა. მიუხედავად იმისა, რომ იყო კრიტიკული შენიშვნები, ხელბურთის ფედერაციამ საორგანიზაციო საკითხები მეტ-ნაკლებად კარგად მოაგვარა. თუმცა, რასაკვირველია, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და შემდეგში ყველაფერი უფრო უკეთ უნდა იყოს.

საკმაოდ მასშტაბური იყო 16-წლამდელთა ჩემპიონატში. როგორც ზემოთ ვთქვი, ამ ასაკში 8 გუნდი გვყავდა და ისეთ ქალაქებში დავაბრუნეთ ხელბურთი, რომლებშიც კარგა ხნის დავიწყებული ჰქონდათ. ამას გარდა, 16-წლამდელთა ფინალური ეტაპი ჩავატარეთ ოზურგეთის ახალ დარბაზში და ამ ქალაქსაც გაუჩნდა ინტერესი და მოტივაცია, რომ საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბოს. მით უმეტეს, რომ ოზურგეთელები თავის დროზე, საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობდნენ და ახლა თანამედროვე დარბაზი აქვთ.



ზურაბ კაკაბაძე

სასიამოვნო იყო ის ფაქტიც, რომ უმცროს ასაკში აღარ განმეორებულა წინა წლების მსგავსი შემთხვევები, როდესაც აუტსაიდერ გუნდებს პირველ-მეორე წრეშივე, შეჯიბრებისადმი ინტერესი ეკარგებოდათ და უფულობის მომიზეზებით, შეჯიბრებას აკლდებოდნენ. წლეულს, 16-წლამდელთა რვავე გუნდმა ჩაამთავრა სეზონი და აუტსაიდერებს ინტერესი კი არ დაეკარგათ, არამედ მოტივაცია გაუჩნდათ, რომ ახალ სეზონში უკეთესი შედეგები აჩვენონ.

დადებითი მომენტი იყო ქუთაისის ახალ დარბაზში 1990-92 წლებში დაბადებულთა შორის საქართველოს თასის ჩატარებაც. ეს ასაკი დასაკარგად იყო განწირული, რაკიღა ჩემპიონატი არ ტარდებოდა. თუმცა, გამოჩნდნენ საინტერესო ახალგაზრდები და მათ არ დავკარგავთ. ასევე მივესალმები თბილისის 161-ე სკოლის ბაზაზე ბავშვთა ხელბურთის კლუბის ჩამოყალიბების ფაქტს. ამ მშვენიერ საქმეს დავით ლონლაძე ჩაუდგა სათავეში, რომელიც, სხვათა შორის, ტანვარჯიშის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტისა და ჩვენი მეგობრის - ცხონებული ომარ ლონლაძის ვაჟია. მისი თქმით, გაისად გუნდი მზად იქნება საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატში სათამაშოდ.

სამწუხაროდ, გოგონათა პირველობაზე მხოლოდ ერთი ეტაპი ჩავატარეთ, რადგან იმ დროისთვის ხელბურთის ფედერაციაში სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობდა. თუმცა, მომავალი წლიდან უკვე გოგონების ჩემპიონატსაც სერიოზულად მივხედავთ.

წარმატებული გამოდგა ეროვნული ნაკრებისთვის “ჩელენჯ ტროფი”, სადაც გუნდმა თავის არსებობის ისტორიაში პირველი ტიტული მოიგო. ამაზე უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა და ახალს ველარაფერს დავამატებ. მთლიანობაში, წარმატებულად შევაფასებდი ჩვენი გუნდის გამოსვლას მსოფლიო უნივერსიადაზეც, სადაც მეექვსე ადგილი დავიკავეთ. მართალია, სპორტის დეპარტამენტის თანადგომით, ნაკრები უნივერსიადამდე მინსკის საერთაშორისო ტურნირზე გავუშვით, მაგრამ სრულფასოვანი შეკრების ჩატარება ვერ მოვახერხეთ. მიუხედავად ყველაფრისა, სერბეთისა და იაპონიის დონის ქვეყნების გასწრება წარმატებად მიმაჩნია.

ასევე სპორტის დეპარტამენტის დახმარებით, წლეულს მოვახერხეთ 18 და 20-წლამდელთა ნაკრები გუნდების გაშვება ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპებზე. სამწუხაროდ, 20-წლამდელებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარა გამოკვეთილი ლიდერი, ეროვნული ნაკრების წევრი რატი მსხვილიძე, თორემ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა შეიძლებოდა. რაც შეეხება 18-წლამდელებს, აქაც ზემოთ ნახსენებ თაობათა წყვეტას წავაწყდით. ამ ასაკში საკმარისი ხელბურთელები არ გვყავდა და იძულებულნი გავხდით, რომ 16-წლამდელებს დავყრდნობოდით. ასეთ ასაკში კი 2 წელი საკმაოდ ბევრს ნიშნავს, რაც შედეგებშიც აისახა. შესაძლოა, დიდი ანგარიშით წაგებამ ბიჭებს ცოტა გული გაუტეხა, მაგრამ სამაგიეროდ, გამოცდილება მიიღეს. მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ისინი მომძლავრდებიან და ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებენ.

განვლილი სეზონის შესახებ საუბარს კი საერთაშორისო პროექტებით დავასრულებ. შარშან ძალიან წაგვადგა თურქებთან თანამშრომლობა. კერძოდ, დეკემბერში მათ სტუმრად ვეთამაშეთ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებით. თურქეთში გამოვცადეთ, ფაქტობრივად, მთელი რეზერვი.

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ საჩუქრად გამოგვიყო სტანდარტული ბურთები, რომლებიც თბილისში არ იყიდება. ბურთები კლუბებს გადავუნაწილეთ თბილისშიც და რეგიონებშიც.

მორიგი პროექტი იყო ჩვენი ახალგაზრდა მსაჯების - ნინო ელოშვილისა და ინა ჭკუასელის გაგზავნა შვედეთის ქალაქ გიოტერბორგში, სადაც მათ ევროპის გოგონათა ღია ჩემპიონატზე იმსაჯეს. იქვე მათ მსაჯთა სემინარებიც გაიარეს.

აქვე მინდა ცალკე აღვნიშნო ჭკუასელი-ელოშვილისა და ელენე არაბული - თამარ არჩაიას დიდი ღვაწლი საქართველოს ჩემპიონატის წინაშე. მათ მხრებზე უამრავი მატჩის სიმძიმე გადაიარა, მაგრამ საქმეს მშვენივრად გაართვეს თავი და საკმაოდ პროგრესირებადი მსაჯები არიან.

ევროპის ხელბურთის ფედერაციასთან ერთად, ვანხორციელებთ ახალგაზრდული ხელბურთის განვითარების პროგრამას, რომელსაც “სმარტის პროგრამა” ეწოდება. ამა წლის 26-27 სექტემბერს, ევროპის ფედერაცია კონგრესს მართავს, სადაც ხელს მოვაწერთ “სმარტის” სამწლიან პროგრამას და მის ფარგლებში, ჩვენი ახალგაზრდა მწვრთნელები გაივლიან სემინარებს. მათთვის გამოგვიყოფენ სასტიპენდიო ბიუჯეტს წელიწადში 11000 ევროს ოდენობით. ჩვენი ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი თამაზ თევზაძე კი დაესწრო ევროპის ფედერაციის ყველა ოფიციალურ კონგრესსა თუ კონფერენციას.

**- ოთხგუნდიანი ჩემპიონატი რომ აშკარად ვერ უძლებს კრიტიკას, ეს საკამათო არ არის. რა გზით აპირებთ ჩემპიონატის მომძლავრებას?**

- ჩვენი მიზანია, რომ ახალი სეზონი ექვსგუნდიანი ჩემპიონატით მაინც დავიწყოთ. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ საუბრის დონეზე გვაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ მალე აქტიურად მუშაობას შევუდგებით კლუბებისა და რეგიონების ხელმძღვანელობასთან.

**- კონკრეტულად, რომელი გუნდები შეიძლება დაემატონ ეროვნულ ჩემპიონატს?**

- სამტრედიას ჰყავს 1986-93 წლებში დაბადებული ხელბურთელები, რომელთა წყალობითაც შეიძლება ნორმალური გუნდის ჩამოყალიბება. ასევე ლაპარაკია ბათუმისა და თელავის გუნდების შექმნაზე. შესაძლოა, ძირძველი კლუბის - “ქარიშხალას” დაბრუნებაც, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი...

ზემოთაც ვთქვი, რომ 1992-93-წლიანთა ჩემპიონატში არის ბევრი ხელბურთელი, რომელთა ეროვნულ ჩემპიონატში დასაქმებაც უკვე შესაძლებელია, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ამით 16-წლამდელთა ჩემპიონატი დაგვეშალოს. ეს შეჯიბრება ხომ ამჟამად ქართულ ხელბურთში ყველაზე მასშტაბურია. მოკლედ, კარგად დაფიქრება გვმართებს...

მთლიანობაში, ეს საკითხები ჩვენი ფედერაციის ახალ პრეზიდენტ ზაურ ცხადაძესთან ერთად გადასაწყვეტია. შეიკრიბება ფედერაციის ხელმძღვანელობა და ახალი სეზონის გეგმებზე მაშინ ვისაუბრებთ, რომელშიც ეროვნული ჩემპიონატიც შევა, ნაკრები გუნდებიც და საერთაშორისო პროექტებიც.

**- ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბის შენახვა სეზონურად რა თანხა ჯდება?**

- საქართველოს კვალობაზე, ნორმალურ გუნდს სეზონის განმავლობაში, დაახლოებით 100-150 000 ლარი დასჭირდება.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# რეიტინგებს გაიუმჯობესებენ...

ესპანურ ბალაგუერში დასრულდა რიგით მეცამეტე საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში და საბოლოო შედეგები ქართველთათვის საკმაოდ მომხიბვლელი აღმოჩნდა. ოთხი ქართველიდან - **ლევან აროშიძე, ქეთი ნანალაშვილი, სოფიკო გურამიშვილი** და **მარიამ დანელია**, განთესვით მინიჭებული ადგილები სამმა გააუმჯობესა, ერთმა კი - სოფიკო გურამიშვილმა - ზუსტად განთესვით დადგენილი ადგილი დაიკავა საბოლოო ცხრილში - 35-ე. დიდი ნახტომი არც სხვებს გაუკეთებიათ, მაგრამ წინსვლა შესამჩნევია, რაც რეიტინგქულების მატებას ნიშნავს; რეიტინგები კი თანამედროვე ჭადრაკში ძვირად ფასობს...

ქართველთაგან ყველაზე კარგად აროშიძე თამაშობდა. ბოლო ტურის წინ ლევანს 6.5 ქულა ჰქონდა და შავებით ხვდებოდა ინდოელ **ვინაი ბჰატრანს**. რომ მოეგო ქართველს, სამეულის შანსი ჰქონდა. ასე არ მოხდა, მეტოქეებმა ქულა გაიყვეს, რაც საბოლოოდ მერვე ადგილისთვის გახდა საკმარისი; განთესვით ქართველი დიდოსტატი მეცხრე იყო.

ბოლო ტურში ქართველთაგან ყველას შავებით მოუწია თამაში. სოფიკო გურამიშვილს ძლიერი მეტოქე ჰყავდა აზერბაიჯანელი **ლოგმან გულიევის** სახით. ამჯერად ოსტატობამ იძალა და სოფომ თავი ვერ დაიცვა. მიუხედავად მარცხისა, სოფომ ღირსეულად დაასრულა ტურნირი - 5.5 ქულა დააგროვა.

შავებით გამარჯვება რთულია, მაგრამ ქეთიმ ეს შეძლო - ესპანელი **რამინ კაბარო** იძულებული გახდა, საათი გაეჩერებინა. ქართველმა ამ მოგებით ექვს ქულას მოუყარა თავი და 31-ე ადგილზე გავიდა; განთესვით კი 37-ე იყო.

გაგვახარა მარიამ დანელიამაც, რომელმაც დომინიკანელ **პედრო ბელტრეას** მოუგო, ხუთნახევარი ქულა დააგროვა და კოეფიციენტის მიხედვით 41-ე ადგილზე გავიდა. მარიამის განთესვით ნომერი კი 47-ე გახლდათ.

ამით ესპანური ტურნეს ეს მონაკვეთი დასრულებულია და ოთხეული საქართველოში ბრუნდება. ვფიქრობ, რომ შედეგებით კმაყოფილები იქნებიან და რეიტინგთან ერთად ოსტატობაშიც მოიმატეს. აპენინური ჭადრაკი აღმავლობას განიცდის და ახალგაზრდა ქართველებისთვის იქ თამაში მშვენიერი პრაქტიკაა.

ტურნირის გამარჯვებული კი უკრაინელი დიდოსტატი **ვლადიმირ ბაკლანი** (2630) გახდა 8 ქულით. მან ბოლო ტურში იქამდე ერთპიროვნულად გალიდერებული კუბელი **ფიდელ კორალეს ხიმენესი** დაამარცხა. ფიდელმა საბოლოოდ მეორე პოზიციაზე დარჩენა მოახერხა 7.5 ქულით; მესამეზე მისივე თანამემამულე **ლაზარო ბრუსონი** გავიდა ასევე 7.5 ქულით.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ვიგრძენით განსხვავება



ტურნირს ლაზარე კუხალაშვილიც გამოეთიშა

თავს ზემოთ ვერ ახტებიო, უთქვამთ და **ლაზარე კუხალაშვილმაც** ვერაფრით მოახერხა მასზე აშკარად ძლიერი მეტოქის დამარცხება. მცირე იმედი კი გვქონდა, რომ ქართველი იტალიელ **მატეო მარაის** პრობლემებს შეუქმნიდა - ეგებ, ამინდმა საჩვენოდ ითამაშოს - გაუსაძლისად ცხელა და ვინ იცის, სტუმარი როგორ ფორმაში შეხვდებოდა მატჩს, მაგრამ ვგონებ, პირიქით მოხდა - დაღლილი და მხრებჩამოყრილი ლაზარე უფრო ჩანდა: პირველ მოწოდებას არაუშავდა, ბურთთან მისვლა კი უგვიანდებოდა და ვერც შემოვლებულებს ასრულებდა ჩვეულად და ბექჰენდებიც უჭირდა. შედეგად - 6:2, 6:3 მატეოს სასარგებლოდ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ლაზარემ აღნიშნა - ალბათ, გადავიღალეო; რამდენიმე ტურნირში ზედიზედ თამაშმა გამომფიტა და ძლიერ მეტოქესთან ამან უფრო მკვეთრად იჩინა თავი. შეგვიძლია ლაზარეს დავეთანხმოთ - იგი ბოლო თვენახევარი მართლაც ინტენსიურად იქნევდა ჩოგანს, მაგრამ სამართლიანობა პირდაპირ ითხოვს აღვნიშნოთ, რომ მატეოს ბევრად მეტი საჩოგბურთო ცოდნა და შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ლაზარეს. ეს ის მდგომარეობა იყო, როცა ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდა მცოდნე და გამოცდილ სპორტსმენს უპირისპირდება და სადაც გამოცდილება აშკარად ჯაბნის სიჭაბუკეს. ლაზარემ კარგი გაკვეთილი მიიღო. თუმცა, ჩემი აზრით, სულაც არ ჭირდება დიდი დრო იმას, რომ მატეოს დარი ოსტატები დაამარცხოს. ვფიქრობ, ორიოდ წელიწადში, თუკი კუხალაშვილი პროფესიულ ზრდას განაგრძობს, უფრო ძლიერებისკენაც გაუწევს გული და დაამარცხებს კიდეც.

იტალიელი რომ უდავო ფავორიტი იყო ტურნირის, მრავალჯერ აღვნიშნეთ, მის მთავარ მეტოქედ კი სერბ **დავიდ სავიჩს** მოვიაზრებდით და სამართლიანადაც. თუმცა გუშინ დავიდმა მოულოდნელად მარცხი იწვნია ფრანგ შარლ როშესგან - 2:6, 3:6. როშეს მეტოქე ნახევარფინალში ლატვიელი **დენისს პავლოვსია**. მატეოს კი უკრაინელი **დენის მოლჩანოვის** დამარცხება მოუწევს.

ნახევარფინალური შეხვედრები დღეს 12 საათზე დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველო შვეიცარიას გამოეთხოვა




შვეიცარიის საკურორტო ქალაქ გშტაადში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი, ქალთა შორის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველო**, შეჯიბრის მეორე დღეს დატოვა. მართალია, ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯგუფური ეტაპის დაძლევა მოახერხეს, მაგრამ მერვედფინალში გამსვლელ შესარჩევ შეხვედრაში დამარცხდნენ და ტურნირს გამოეთიშნენ.

A ჯგუფში ბოლო შეხვედრა საქართველომ ტურნირის უმთავრეს ფავორიტთან, ჩინურ დუეტთან (**ტიან ჯიაჭანკი**) გამართა და ორ სეტში დამარცხდა 15:21, 10:21. ჩვენმა ფრენბურთელებმა ერთი მოგებით ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და მერვედფინალში გასასვლელად D ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ გერმანულ წყვილს დაუპირისპირდნენ. **გოლერი** და **ლუდვიგი** შეჯიბრებაში მე-8 ნომრად არიან განთესილი. საქა-რთველომ პირველი სეტის მოგება შეძლო, თუმცა მეტის მისაღწევად ძალა აღარ ეყო და 18:21, 10:15 დამარცხდა.

საქა-რთველომ გშტაადში 160 სარეიტინგო ქულა და 5 100 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა. ახლა ჩვენი ფრენბურთელები ავსტრიაში, კლაგენფურტში გასამართ მორიგ ეტაპზე გადაინაცვლებენ.

ამასობაში კი გშტაადში ასპარეზობაში ჩაერთო ვაჟთა შორის ქართული წყვილი გეორ-გია. ჩვენი ფრენბურთელების მეტოქეები O ჯგუფში ბრაზილიური დუეტი, საქას მეუღლე **ჰარლი მარკესი** და **პედრო სალგადო**, გერმანელები **მატიშეკი** და **დოლინგერი** და კანადური წყვილი **კადიო-ლეიოტი** არიან.

პირველი შეხვედრა **გეორ-გიამ**, რომელიც ტურნირზე მე-11 ნომრადაა განთესილი, 22-ე ნომერ გერმანულ წყვილთან ორ სეტში წააგო 19:21, 13:21. მეორეში კი კანადელების წინააღმდეგ ალმავლობით ითამაშა და ასევე ორ სეტში დაამარცხა 21:17, 21:17.

დღეს გეორ-გია ჯგუფის ლიდერს ბრზილიურ წყვილს **ჰარლისა და პედროს** დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ჩახნაშვილი და კალაშნიკოვა წყვილებში დარჩნენ

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (197) პირველივე რაუნდში დაემშვიდობა პეტანჟის (ლუქსემბურგი) საერთაშორისო ტურნირის ერთეულთა თანრიგს. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 75 ათასი ამერიკული დოლარია. მაკა ტურნირის ფავორიტს, მე-2 ნომრად განთესილ **სტეფანი ფორეტსს** (102) ხვდებოდა. სამწუხაროდ, ფრანგმა იოლად დაჩაგრა ჩვენი ჩოგბურთელი – 1:6, 1:6.

ჩახნაშვილი კვლავ პეტანჟშია, სადაც წყვილთა ბადეში აგრძელებს თამაშს. ის და ესტონელი **მარიტ რუუტელი** რუმინულ-უკრაინული დუეტის (**დულგერუ, პილნიკი**) ძლევით გავიდნენ მეოთხედფინალში – 6:1, 6:3. მეოთხედფინალში მაკას სერბი **კოჟიჩი** და ბულგარელი **ევტიმოვა** ელიან.

ხარკოვის „ლედის კაპ II-ის" ერთეულთა თანრიგს ქართველი აღარ შემორჩა. 25-ათასიან ტურნირში ჩვენებურთაგან უკეთ **სოფიო შაფათავამ** (294) ითამაშა, რომელიც უკრაინაში მე-7 ნომრად იყო განთესილი. მან პირველი წრის მატჩში ბელარუსი **ვიქტორია ემიალიანოვა** დაამარცხა – 6:3, 6:1. მერვედფინალში შაფათავას მეტოქედ მასპინძელი, **კრისტინა ანტონიჩუკი** (339) ერგო. სამსეტიანი ორთაბრძოლა უკრაინელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ დასრულდა – 6:4, 3:6, 1:6.

შაფათავა ხარკოვს დაემშვიდობა, **ოქსანა კალაშნიკოვა** კი წყვილთა თანრიგში აგრძელებს ბრძოლას, სადაც ნახევარფინალშია გასული. ოქსანა და რუმინელი **მიხაელა ბუზარნესკუ** ტურნირში მე-2 ნომრად არიან განთესილნი. მეოთხედფინალში მათ უკრაინელები (ავდიენკო, ტეპლიაკოვა) დაამარცხეს – 6:2, 7:5. ნახევარფინალში ოქსანას ტყუპ დებთან, **ნადია და ლუდმილა კიჩენოკებთან** მოუწევს თამაში.

მაროკოში, რაბათის 10-ათასიან ტურნირში მე-5 ნომრად **სოფიო ქვაცაბაია** განთესეს. პირველ წრეში ის ბელგიელ **სოფი კორნეროტს** შეხვდა და 7:5, 6:4 მოუგო. მერვედფინალში ქართველის მეტოქე მასპინძელი **ლამილა ესაალდი** იყო. მოულოდნელად, სოფიო „უაილდ ქარდით" მიწვეულ მაროკოელთან დამარცხდა – 6:7 (1), 3:6. ქვაცაბაია და რუსი **ციბიშევა** წყვილთა ბადის პირველივე წრიდან დაემშვიდობნენ რაბათის ტურნირს.

რუმინულ ჰუნედოარაში (10 ათასი დოლარი) მე-5 ნომრად იყო განთესილი **მანანა შაფაქიძე**, რომელიც მოულოდნელად პირველივე წრეში დამარცხდა ბულგარელ **დიანა ზაფიროვასთან** – 3:6, 0:6. მანანა წყვილთა ბადესაც პირველ წრეში გამოეთხოვა, სადაც რუმინელ ბრასოვეანუსთან ერთად თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გორგოძე კალაშნიკოვას კვალდაკვალ

ევროპის სამ ქვეყანაში, ავსტრიაში, რუსეთსა და ჩეხეთში მიმდინარეობს ჩოგბურთელთა კონტინენტის პირველობები სამ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. გუშინ, 14 და 16-წლამდელ სპორტსმენთა ტურნირებზე გიამბეთ, თუმცა არაფერი გვითქვამს ახალგაზრდულ ასაკში ყველაზე პრესტიჟულ, 18-წლამდელთა შეჯიბრებაზე, რომელსაც ავსტრიის ქალაქი ბად ჰოფგაშტაინი მასპინძლობს.

შარშან, ევროპის 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ჩემპიონატი უჩვეულოდ მოსავლიანი იყო ჩვენთვის. მაშინ 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ერთეულებში ფინალში გააღწია, ხოლო წყვილებში ევროპის ჩემპიონი გახდა. კალაშნიკოვას წლეულსაც შეეძლო ავსტრიაში წასვლა და ტიტულის დასაცავად ბრძოლა, მას ასაკი ჯერაც ხელს უწყობს, მაგრამ ცაცია ტალანტი წლეულს მხოლოდ დიდებში თამაშობს, სადაც უფრო დიდ წარმატებებს წყვილთა თანრიგში აღწევს. ბად ჰოფგაშტაინში კი 16 წლის **ეკა გორგოძე** გაემგზავრა. სამწუხაროდ, ბიჭების ტურნირში ქართველი არ თამაშობს. ეკა გორგოძე პირველ წრეში ნორვეგიელ **ემა ფლუდს** გაუსწორდა – 6:1, 6:1. მეორე წრეში კი მას სერიოზული მეტოქე ეყოლება, ტურნირის მე-8 ჩოგანი **ელიცა კოსტოვა** (ბულგარეთი). გორგოძე წყვილთა თანრიგში დანიელ **მალუ ეიდესგაარდთან** ერთად თამაშობს, დანიურ-ქართული წყვილი ბადეში მე-8 ნომრადაა განთესილი.

ახლა გადავინაცვლოთ პლზენში, სადაც 14-წლამდელთა ევროპული პირველობის პირველ წრეში **ლუკა ფილფანი** თამაშობდა. სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულე ვერას გახდა სლოვენიელ **რიჰარდ როზაკთან** – 0:6, 1:6. ფილფანისა და **ალექსანდრე დავლიანიძის** დუეტი კი ტურნირის ბელგიელ პირველ ნომრებთან (**ჟულიენ განინა, ჟერონ ვანესტე**) დამარცხდა – 1:6, 1:6. პლზენში მხოლოდ **თამარ კომახიძის** გვეიმედებოდა, რომელიც მეორე წრეში ბერძენ **ელპიდა პაპანელოპულოს** შეხვდა. მაგრამ თამარი, რომელიც ევროპის ჩემპიონატში მე-9 ნომრად იყო განთესილი, დამარცხდა – 2:6, 7:5, 4:6. სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატს დამარცხებულები არ ეთიშებიან, ისინი დამამშვიდებელ ბადეში აგრძელებენ ასპარეზობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ოქსანა კალაშნიკოვა

კალათბურთი. უცნაური ტრანსფერი

# ევროპა NBA-ს ჯობია?

**გუშინ,** ათენში სასწაული მოხდა. 25 წლის ამერიკელმა კალათბურთელმა, ჯოშ ჩილდრესმა, კალმის ერთი მოსმით მსოფლიო კალათბურთის ყველანაირი კანონი დაარღვია და მშობლიური ამერიკა ნოკდაუნში ჩააგდო. გამოდის, რომ მოთამაშეთა ბაზარზე აღარ არსებობს NBA-ის მონოპოლია.

NBA-დან ევროპაში ადრეც მიდიოდნენ ვეტერანი სუპერვარსკვლავები - **ბობ მაკადუ, დომინიკ უილკინსი...** (ეს საკმაოდ გრძელი სიაა). ისინი იქ იოლ შემოსავალსა და თავგადასავლებს ეძებდნენ. მაგრამ ამ ვეტერანებს შორის ვერ იპოვით ისეთს, რომელმაც ამერიკაში ნათელ მომავალს ძველ კონტინენტზე თამაში ამჯობინა. ზოგიერთს, ეს მომავალი ასაკის გამო აღარ ჰქონდა, სხვებისთვის კი, NBA თავიდანვე არ ყოფილა ნათელი.

სულ სხვა საქმეა ჩილდრესი. "ატლანტაში" ამ ბიჭის პერსპექტივები საკმაოდ ოპტიმისტურად ფასდებოდა. "ჰოქსი", სადაც ნიჭიერი ახალგაზრდობაა თავმოყრილი, ლიგაში ყველაზე პროგრესირებად გუნდად მიიჩნევა. შემთხვევითი არ არის, რომ წლევანდელ პლეი ოფში, "ატლანტამ" შვიდ მატჩამდე მიიყვანა მომავალ ჩემპიონთან, "ბოსტონ სელტიქსთან" პირველი წრის სერია. ამასთან, ჩილდრესი მოედანზე საშუალოდ 30 წუთს ატარებდა, 12 ქულას (თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 57.1 პროცენტი) და 5 მოხსნას აგროვებდა. თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღების შემდეგ, ჯოშს არჩევანის საშუალება ჰქონდა: "ატლანტაში" კიდევ ერთი სეზონი ეთამაშა თუ სხვა გუნდში წასულიყო, რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებდა.



საბოლოოდ, ჩილდრესი სამი წლით საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" მოთამაშე გახდა, რის სანაცვლოდაც 20 მილიონ დოლარს მიიღებს. შესანიშნავი ხელფასია, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩილდრესი მომავალ ზაფხულს, NBA-ის რომელიმე კლუბისგან ასეთ კონტრაქტს (თუ უკეთესს არა) აუცილებლად მიიღებდა, მაგრამ მან მაინც ევროპაში არჩია გამგზავრება.

ახლა უკვე აღარ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ევროპაში თამაშს NBA-ის სხვა რომელიმე ახალგაზრდა კალათბურთელიც გადაწყვეტს. სხვათა შორის, ამ მხრივ NBA-სთან ბრძოლაში, ევროპას ერთი უპირატესობა აქვს: აქ არ არსებობს ხელფასის ზედა ზღვარი. და შეიძლება ამასაც დახარბდნენ ახალგაზრდა ამერიკელები, რომლებსაც უჭირთ ვეტერან კალათბურთელებთან ხელფასის მხრივ კონკურენცია. რაც შეეხებათ არაამერიკელ ვარსკვლავებს, მათ ევროპული კალათბურთის მიმართ სტერეოტიპები არასოდეს ჰქონიათ.

ამაში ჩვენ ბოლო დღეებში დავრწმუნდით, როცა არგენტინელი **კარლოს დელფინო** და სლოვენიელი **ბოსტჯან ნახბარი** რუსულ კლუბებში გადავიდნენ. არადა, გასულ წელს, NBA-ში თავიანთი საუკეთესო სეზონები ჩაატარეს და მიუხედავად ამისა, "ამერიკულ ოცნებას" რუსეთის ჩემპიონატში და ევროპის თასზე (და არა ევროლიგაზე) ამჯობინეს თამაში. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ამერიკიდან დაბრუნდნენ **ხუან კარლოს ნავარო** და **ხორხე გარბახოსა**. სავარაუდოდ, მათ მიბაძავს **ნენად კრსტიჩი.** ხოლო NBA-სთვის ყველაზე მსუყე ლუკმამ, ბრაზილიელმა **ტიაგო სპლიტერმა** კატეგორიული უარი თქვა "ტაუგრესიდან" "სან ანტონიოში" გადასვლაზე. კონკურენციის შეეშინდა? არა. უბრალოდ, ევროპაში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს.

ოლიმპიზმი

# დოპინგი, რომელსაც ვერ პოულობენ



ოლიმპიადის სტარტის წინ, ექიმებს სერიოზული ეჭვები გაუჩნდათ იმ დოპინგ-ტესტების გამო, რომლებსაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) ატარებს. მედექსპერტების აზრით, WADA-ს არ შესწევს იმის უნარი, რომ სპორტსმენების სხეულში ზოგიერთი აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინოს.

BBC-ის მიერ ჩატარებული გამოძიების დროს გაირკვა, რომ WADA-ს ლაბორატორიები ვერ ადგენენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 1990 წელს აკრძალული ჰორმონული პრეპარატის - ერითროპოეტინის (ეპო) შემცველობას და ხშირ შემთხვევებში, დოპინგტესტი უარყოფით შედეგს იძლევა.

ეპო ადამიანის სხეულის ამტანობას აძლიერებს. მისი გამოყენება ერითროციტების (ადამიანის სისხლში წითელი სხეულები) რაოდენობის გაზრდას იწვევს. ამის წყალობით, სისხლში ჟანგბადის შემცველობა იზრდება და იოლდება ქსოვილებამდე ჟანგბადის მიწოდება. საბოლოოდ, იზრდება ორგანიზმის ამტანობა, ხოლო სპორტული შედეგები დაახლოებით 50 პროცენტით უმჯობესდება. ეპო-ს დოპინგი განსაკუთრებით ეფექტურია გრძელ მანძილზე სირბილში (800 მეტრიდან დაწყებული), ველოსპორტსა და სხვა სახეობებში. მედიცინაში ეს პრეპარატი ანემიის სამკურნალოდ გამოიყენება.

დოპინგთან ბრძოლაში წამყვანი ექსპერტი **ბენგტ სალტინი** თვლის, რომ თუ სასწრაფოდ რაიმე ზომები არ იქნა მიღებული, პეკინის თამაშები არა სპორტსმენების, არამედ ექიმების დაპირისპირებად იქცევა: *"დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ პეკინის ყველა ჩემპიონსა და მედალისტს, თავისი მოსამზადებული ციკლის დროს, აუცილებლად ექნება გამოყენებული ეპო. აქ ვგულისხმობ ამტანობაზე შეჯიბრებებს. რა თქმა უნდა, ისინი საკმარისად ჭკვიანები უნდა იყვნენ, რათა WADA-ს არ ჩაუვარდნენ ხელში, მაგრამ ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს".*

თავის მხრივ, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ანტისადოპინგო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორი **რასმუს დამსგაარდი** აცხადებს - მას უტყუარი მტკიცებულებები გააჩნია იმისა, რომ WADA-ს არ შეუძლია ორგანიზმში ერითროპოეტინის შემცველობის დიაგნოსტიკა. წლის დასაწყისში, დამსგაარდმა WADA-ს ლაბორატორიაში ხუთი ისეთი მოთხილამურის სინჯები გააგზავნა, რომლებსაც ეპო ჰქონდათ მიღებული, მაგრამ არც ერთმა ტესტმა დადებითი შედეგი არ მოიტანა: *"მათ მიერ ჩატარებულმა ყველა ტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა. ვინ იცის, რამდენჯერ შემცდარან მსგავს სიტუაციებში ლაბორატორიის თანამშრომლები. WADA გვარწმუნებს, რომ ყველაფერი ბრწყინვალედ მიდის, მაგრამ სინამდვილეში, ეს ასე არ არის".*

შეგახსენებთ, რომ WADA-მ ეპო-ზე ტესტები პირველად 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე გამოიყენა. საგულისხმოა, რომ მთელმა რიგმა სპორტსმენებმა, რომლებიც ამ პრეპარატის მიღებაში გამოიჭირეს, მოგვიანებით, სასამართლოს ძალით დაამტკიცეს თავიანთი უდანაშაულობა. ამიტომაც, ანტი-სადოპინგო სააგენტომ გაამკაცრა კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ლაბორატორიას უფლება აქვს, სპორტსმენის ორგანიზმში ეპო-ს შემცველობა დააფიქსიროს. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2003-2006 წლებში ერითროპოეტინზე ტესტების დადებითი შედეგები თითქმის ორი მესამედით შემცირდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დოპინგს ნაკლებად იყენებენ - უბრალოდ, მისი დამალვა ისწავლეს.

**სხვათა შორის, ინტერნეტის საშუალებით ერითროპოეტინის შეძენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ევროპაში პოპულარულია ჩინეთში, ინდოეთში ან კუბაში დამზადებული იაფი ეპო, რომლის ფასი 50 დოლარს შეადგენს.**

ჩოგბურთი

# სქესთა ომი

3 აგვისტოს, ამერიკაში ჩატარდება ჩოგბურთის ისტორიაში პირველი ტურნირი, რომელშიც ქალები კაცებს გაეჯიბრებიან.

ერთდღიან ტურნირს პირობითი სახელწოდება აქვს - "სქესთა ბრძოლა". იგეგმება 23 ქალი და კაცი ჩოგბურთელის მოწვევა, რომლებიც უჩვეულო წესებით გაითამაშებენ მთავარ პრიზს: მოწოდება მხოლოდ ქვემოდან დარტყმით შეიძლება, აგრეთვე გაუქმდება მეორე მოწოდების წესი.

რაც შეეხება მატჩების გამართვის ფორმატს, ის მაგიდის ჩოგბურთს მოგვაგონებს: გამარჯვება იმ ჩოგბურთელს დარჩება, რომელიც პირველი დააგროვებს 21 ქულას (აქ არ გათამაშდება ჩვეულებრივი გეიმები), მოთამაშეებს ზედიზედ ხუთი მოწოდების შესრულების უფლება ექნებათ.

რევოლუციური ტურნირის ორგანიზატორია, 44 წლის საჩოგბურთო პრომოუტერი **სტივ ბელამი**, რომელმაც უკვე შეძლო რამდენიმე სპონსორის მოზიდვა. ბელამის იმედი აქვს, ახლო მომავალში, ამ ტურნირში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან, მაგალითად, **რაფაელ ნადალი** და **მარია შარაპოვა**.

*"თანამედროვე ჩოგბურთში, ქულების დაახლოებით 40 პროცენტს ბურთის მოწოდების ან მოწოდების მიღების დროს იგებენ. პირველ რიგში, კაცები ქალებს სწორედ მოწოდებით ჯაბნიან. ჩვენი წესებით კი, მათ ეს უპირატესობა არ ექნებათ"*, - ამბობს ბელამი.

პრომოუტერის სიტყვებით, ტურნირში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს ATP-ის რეიტინგის 70-ე ნომერმა **ვინსენტ სპეიდიმ** (აშშ), ამერიკელმა **ალექსანდრა სტივენსონმა** (204-ე ნომერი), ყოფილმა ჩოგბურთელებმა **ჯასტინ გიმელსტობმა** და **დერიკ როსტანიომ**. ცნობისთვის, სტივენსონმა 18 წლის ასაკში უიმბლდონის ნახევარფინალს მიაღწია. ეს 1999 წელს მოხდა.

*"ამ ტურნირში მონაწილეობის ერთადერთი მიზეზი - გამარჯვების მოპოვებაა,* - აცხადებს სტივენსონი. - *ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან სახალისო იქნება. კაცების წინააღმდეგ ადრეც მითამაშია, ოღონდ არა ტურნირის ფორმატში. თუ მოწოდებებს ქვემოდან შევასრულებთ, ქალებს შეუძლიათ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან თანაბრად თამაში".*

90-იანი წლების დასაწყისში, დერიკ როსტანიო რეიტინგში მე-13 ადგილს იკავებდა, ახლა კი, 42 წლის ჩოგბურთელმა იურისტობას მიჰყო ხელი. მისი სიტყვებით, ქალებთან წაგება სულაც არ იქნება სამარცხვინო.

*"როგორიც არ უნდა იყოს ტურნირის ბადე, ნებისმიერ მეტოქესთან წაგების კარგი შანსი მაქვს. თანამედროვე ქალმა ჩოგბურთელებმა უძლიერესი დარტყმები აითვისეს. ამიტომაც, წინ ძალიან საინტერესო მატჩები გველის"*, - ამბობს როსტანიო.

რაც შეეხება ტურნირის კიდევ ერთ პოტენციურ მონაწილეს, ჯასტინ გიმელსტობს, ის დღეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის დირექტორთა საბჭოში შედის. შეგახსენებთ, რომ ეს ის ჩინოვნიკია, რომელმაც ცოტა ხნის წინათ, რუს **ანა კურნიკოვას** საჯაროდ მეძავი უწოდა.

ტურნირს არც ისე მაღალი საპრიზო ფონდი აქვს - გამარჯვებული 10 ათას დოლარს მიიღებს.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

# რაფას ჩოგანი

ჩოგნების მწარმოებელმა ცნობილმა კომპანია Babolat-მა ახალი პროდუქტი შექმნა, რომელსაც Babolat Nadal Junior ჰქვია. ახალი ტიპის ჩოგნები 4-9 წლის ბავშვებისთვის იქნება განკუთვნილი.

წარმოების ახალი ხაზი ხუთი მოდელის გამოშვებას გულისხმობს. ეს არის ალუმინის მჩატე ჩოგნები დამწყები და იუნიორი ჩოგბურთელებისთვის. რაც მთავარია, ახალი ჩოგანი ძალიან ჰგავს პროფესიული Aeropro Drive-ის მოდელს, რომლითაც **რაფაელ ნადალი** ATP-ის ტურში თამაშობს.

*"იმედი გვაქვს, ახალგაზრდა თაობა ახალი პროდუქტით თავიდან აღმოაჩენს სპორტის ამ სახეობას და თამაშით სიამოვნებას მიიღებს"*, - ამბობს კომპანიის პრეზიდენტი **ერიკ ბაბოლატი.**

**ახალი ჩოგნის ფასი 24.95 დოლარი იქნება.**



ერთიანი ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ფედერერის კრიზისი გრძელდება



**როჯერ ფედერერისთვის** ეს სეზონი დანავსულია. იმდენად დანავსული, რომ შეიძლება სულ მალე, მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი დაკარგოს კიდეც. ეს შეიძლება ოლიმპიადამდეც კი მოხდეს. არადა, შვეიცარიელი მაესტრო, ვის ანგარიშზეც დიდი სლემის ტურნირების 12 ტიტულია, უიმბლდონის შემდეგ ამბობდა, ახლა მთავარი მიზანი ოლიმპიადაზე გამარჯვებააო.

ასეა თუ ისე, როჯერმა ვარჯიში ტორონტოს მასტერსის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე დაიწყო (როგორც სჩვევია) და ჩოგნის ქნევას გადაჩვეულმა, ფრანგ **ჟილ სიმონთან** სამ სეტში წააგო. სიმონმა ტორონტომდე ინდიანაპოლისის ტურნირი მოიგო, თუმცა მისგან მსოფლიოს პირველი ჩოგნის ძლევას მაინც ბევრი არავინ ელოდა.

მაგრამ მოლოდინი მხოლოდ შეხვედრის დასაწყისში გამართლდა – შვეიცარიელმა ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და პირველი ხელი საკმაოდ ადვილად ჩაიბარა. მაგრამ შემდეგ სიმონმაც გაილაღა და სეტებში ანგარიშის გათანაბრებას ვინლა დარდობს, თამაშიც კი მოიგო. მოკლედ, ფედერერი ამ სეზონში მეორე ტურნირს ეთიშება საწყისსავე სტადიაზე (მსოფლიოს პირველი ჩოგანი პირველ წრეში დაასვენეს). პირველი კრახი მან მარტში, დუბაის ტურნირზე, ბრიტანელი **ენდრიუ მარეისგან** იწვნია.

*"ჰარდკორტის სეზონი ახლახან დაიწყო და პირელი წაგება სამყაროს დასასრული სულაც არაა. თუმცა, ტურნირის უკეთ დაწყებას ვისურვებდი. ჰარდზე თამაში კარგად გამომდის, ტორონტოს ტურნირი კი ძალიან მომწონს და ამიტომ, აქ წაგება ორმაგად მტკივნეულია. ოლიმპიადა და აშშ-ის ღია პირველობა ახლოვდება და ამ ორი ტურნირისთვის უკეთ მომზადება მმართებს"*, - განაცხადა ფედერერმა.

მისგან განსხვავებით, კარგად მომზადებულია სიმონი, ვინც ინდიანაპოლისში კარიერაში მეოთხე, მიმდინარე სეზონში კი მეორე ტიტული მოიპოვა. *"ყველაფერი კარგად გამომდიოდა. ისე ვთამაშობდი, თავი სიზმარში მეგონა. კორტზე მხოლოდ ბურთს ვუყურებდი და ვცდილობდი, მისთვის რაც შეიძლება ძლიერად დამერტყა. ახლა აღარ ვფიქრობ, რომ როჯერ ფედერერი დაუმარცხებელია. ინდიანაპოლისში გამარჯვებამ თავდაჯერებულობა შემმატა და ეს დღეს დამეხმარა. რა თქმა უნდა, ეს ჩემს კარიერაში ყველაზე გამორჩეული გამარჯვებაა, რადგან მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც ხშირად არ ხდება"*, - მეცხრე ცაზეა სიმონი.

ტურნირის მეორე წრე იოლად განვლო **რაფაელ ნადალმა**, ვინც ორი იოლი სეტი იმყოფინა ამერიკელი **ჯესი ლევინის** დასამარცხებლად. უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ, ამანაც ვარჯიში ახლახან დაიწყო და ეს ლევინთან შეხვედრის დასაწყისში აშკარად დაეტყო – თავიდან ამერიკელი 4:1 დაწინაურდა, მაგრამ ესპანელმა სწრაფად მიაგნო თავის რიტმს და შეხვედრის სადავეების ხელში აღება არ გასჭირვებია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**ტორონტოს მასტერსი**

**ტორონტო (კანადა). ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 2 615 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ჟილ სიმონი (საფრ)**-როჯერ ფედერერი (შვეი, 1) 2:6, 7:5, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჯესი ლევინი (აშშ) 6:4, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ტომი ჰაასი (გერმ) 6:3, 7:6(6); **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-რობი გინეპრი (აშშ) 6:4, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 7)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 1:6, 6:1, 6:2; **ენდი მარეი (ბრიტ, 8)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:4, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეი)**-სემ ქვერი (აშშ) 6:3, 6:4; **რიშარ გასკე (საფრ, 10)**-ალექსანდრ კუდრიავცევი (რუს) 7:5, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-ტომი რობრედო (ესპ, 12) 6:3, 6:4; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 13) 6:4, 6:7(4), 6:4; **ხოსე აკასუსო (არგ)**- ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 14) 6:3, 3:6, 6:3; **ნიკოლას კიფერი (გერმ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 15) 7:6(4), 7:5; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 16) 6:4, 3:6, 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 7:6(6)

**WTA**

**ლოს ანჯელესის კლასიკური**

**ლოს ანჯელესი (აშშ, კალიფორნია). ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 1)**-ვანია კინგი (აშშ) 7:5, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 4)**-შუაი პენი (ჩინ) 6:2, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 5)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 7:6(2); **აი სუგიამა (იაპ)**-პატი შნიდერი (შვეი, 7) 6:4, 7:5; **ვიქტორია აზარენკა (ბელა, 8)**-იუნ-ძან ჩანი (ტაივ) 6:1, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 9)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:1, 3:6, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 10)**-ტამირა პაშეკი (ავსტ) 2:6, 6:1, 6:4; **ბეთანი მატეკი (აშშ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 11) 6:4, 6:0; **სიბილ ბამერი (ავსტ, 14)**-სტეფანი დუბუა (კან) 6:3, 7:5; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-დომინიკა ციბულკოვა (სლვკ, 15) 3:6, 7:5, 6:4; **მენ იუანი (ჩინ)**-სანია მირზა (ინდ) 6:4, 6:3; **მელანი საუთი (ბრიტ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:4, 6:2; **სამანტა სტოშური (ავსტრალ)**-რეგინა კულიკოვა (რუს) 7:6(4), 7:5; **მელინდა შინკი (უნგ)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:4, 2:6, 6:4

ველოსპორტი. 95-ე ტურ დე ფრანსი

# ლიდერები თავს არ იწუხებენ

დასასრულს მიუახლოვდა 95-ე ტურ დე ფრანსი, რომლის მე-18 ეტაპსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო კლასიფიკაციაში ბევრი არაფერი შეუცვლია. ლიდერის ყვითელი მაისურა ისევ ესპანელ **კარლოს სასტრეს** ეკუთვნის, რომელიც თავის მდევრებს წუთნახევარზე მეტს უგებს. გუშინდელი ეტაპი კი გერმანელი **მარკუს ბურგჰარდტის** გამარჯვებით დასრულდა, ვინც საფინიშო სპურტში ესპანელ **კარლოს ბარედოს** აჯობა.

საშუალომთიან ეტაპზე, ბურგჰარდტმა და ბარედომ იოლად ჩამოიტოვეს პელოტონი და ფინიშამდე შეინარჩუნეს უპირატესობა. მათ თითქმის ექვსი წუთით აჯობეს ლიდერთა ჯგუფს, რომლებსაც ამ დუეტის მეწინავეობა აინუნშიც არ ჩაუგდიათ – ბარედო ყვითელ მაისურას კლასიფიკაციაში ორ საათზე მეტით ჩამორჩება, ბურგჰარდტი კი სამი საათით უკანაა.

დაწინაურებულმა წყვილმა ბოლო ათ კილომეტრზე ტემპი საგრძნობლად გაზარდა. შეტევაზე ხან ერთი გადადიოდა, ხან მეორე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, შეტევა პასუხგაუცემელი არ დარჩენილა. ბოლოს კი გერმანელმა იმარჯვა და ფინიშთან ნახევარი კორპუსით მიასწრო მეტოქეს.

დღეს ველომრბოლელებს სწორ გზაზე რბოლა ელით. ისინი როანიდან მონლუსონამდე ივლიან, ხვალ კი გადამწყვეტი ეტაპი – დროზე ინდივიდუალური რბოლაა, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს



ტურის ახალი ჩემპიონის ვინაობას. მართალია, სასტრე ლიდერია, მაგრამ სპეციალისტების უმეტესობა გამარჯვებას მაინც ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** უწინასწარმეტყველებს, ვინც დროზე რბოლების სპეციალისტია და წუთისა და 34 წამის ამოქაჩვა უპრობლემოდ შეუძლია.

გუშინ, ინციდენტი შეემთხვა ჟიროს ყოფილ ჩემპიონს, იტალიელ **დამიანო კუნეგოს**, ვინც დაეცა და ექიმების დახმარება დასჭირდა, თუმცა მოგვიანებით, ნიკაპზე ნაკერდადებულმა გზა მაინც განაგრძო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-18 ეტაპი. ბურჟ დ'ოისანსიდან სენტ ეტიენამდე (196.5 კმ)

1. მარკუს ბურგჰარდტი (გერმანია, კოლუმბია) 4:30.21 (43.61 კმ/სთ); 2. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკ სტეპი) იგივე დროში; 3. რომენ ფეილუ (საფრანგეთი, აგრიტუბელი) 3.33; 4. კრისტოფ ლე მეველი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 3.33; 5. მიკელ ასტარლოსა შორო (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3.35; 6. სამუელ დუმოლენი (საფრანგეთი, კოფიდისი) 6.39; 7. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R ლა მონდიალი) 6.39; 8. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკვიგაზი) 6.39; 9. ლაიფ ჰოსტე (ბელგია, სილენს-ლოტო) 6.39; 10. ანდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 6.39; 11. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 6.50...

კლასიფიკაცია 18 ეტაპის შემდეგ

1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 79:16.14; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.24; 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.33; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 1.34; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.39; 6. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 4.41; 7. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.35; 8. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.52; 9. ტადეი ვალიავეცი (სლოვენია, AG2R ლა მონდიალი) 8.10; 10. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 8.24...

# TV სპორტი

**25 ივლისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
**12:25** საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. ორლანდო პაირეტსი (სამხრეთი აფრიკა)-კაიზერ ჩიფსი (ინგლისი). სამხრეთ აფრიკა.
**14:10** ევრო 2008. ფინალი. შვეიცარია-პორტუგალია.
**16:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** ზუსტი გათვლა.
**22:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:25** ევრო 2008. ფინალი. თურქეთი-ჩეხეთი.
**00:25** საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:20** მძლეოსნობა.
**08:10** სპორტდოსიე. ხელბურთი.
**08:40** ფეხბურთი. ევრო 2008. ესპანეთი-რუსეთი.
**10:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. ტორონტო. კანადა.
**14:25** ფეხბურთი.
**14:55** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**15:20** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვიგანი-მანჩესტერ იუნ.
**17:10** ფეხბურთი. ევრო 2008. ხორვატია-გერმანია.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ტორონტო. კანადა (LIVE).
**23:00** კრივი. რინგ-საიდი.
**00:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ხორვატია-გერმანია.
**01:45** სპორტდოსიე. ხელბურთი.
**02:10** მძლეოსნობა.
**03:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**03:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ტორონტო. კანადა (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:30** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**11:45** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**13:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ჩეხეთი.
**15:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ეტაპის წინ (LIVE).
**15:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVIII ტური.
**16:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
**16:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIX ტური (LIVE).
**19:30** მულტისპორტი.
**19:45** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
**21:00** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
**23:45** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
**01:00** ექსტრემალური სპორტი.
**01:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ბულგარეთი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**14:00** ახალი ამბები.
**11:45** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**17:30** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**20:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/4 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
**22:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
**11:45** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**00:45** ახალი ამბები.
**11:45** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**02:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ინტერი-ალ ჰილალი | 1:0 |
| ვერდერი-არისი | 4:3 |
| ჰოფენჰაიმი-ჰანზა | 2:2 |
| ნანსი-ლიონი | 0:3 |
| ორლანდო-კაიზერი | 0:2 |
| გიმარაეში-მიდლსბრო | 1:0 |
| ჰიბერნიანი-ბარსელონა | 0:6 |
| ჰერაკლესი-ტოტენჰემი | 1:1 |
| პანათინაიკოსი-შარლერუა | 5:1 |
| სელტიკი-კარდიფი | 0:1 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| ტრომსიო-ვოლერენგა | 0:0, დ.დ. 0:2 |
| **შვედეთის თასი** | |
| ვალსტრა-ჰამარბიუ | 0:4 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოულუ-ტპ47 | 1:1 |
| ტპვ-კაპა | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| სიონი-იანგ ბოიზი | 2:1 |
| ვადუცი-არაუ | 0:2 |
| **ისლანდიის თასი** | |
| ბრეიდაბლიკი-კეფლავიკი | 3:2 |
| ფიოლნირი-ვიკინგური | 1:0 |
| ჰაუკარი-ფილკირი | 0:0, დ.დ.0:1 |
| რეიკიავიკი-გრინდავიკი | 3:2 |
| **ბრაზილია** | |
| კრუზეირო-გოიაში | 0:1 |
| კურიტიბა-იპატინგა | 1:0 |
| ვიტორია-ნაუტიკო | 2:0 |
| ინტერნასიონალი-სან პაულუ | 2:0 |
| ბოტაფოგო-ატ. მინეირო | 4:0 |
| პორტუგეზა-ფლამენგო | 2:2 |
| ვასკო-ფლუმინენსე | 3:3 |
| **ეკვადორი** | |
| ელ ნასიონალი-ოლმედო | 0:4 |
| ლიგა დე კიტო-მაკარა | 2:2 |
| ემელეკი-დეპ. კიტო | 1:0 |
| უნივერსიტარიო-უნ. კატოლიკა | 2:2 |
| დეპ. კუენსა-ესპოლი | 1:1 |
| ასოგესი-ბარსელონა | 1:3 |
| **აშშ** | |
| ვაშინგტონი-ჰიუსტონი | 0:2 |

**პლაჟის ფეხბურთი**

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| პორტუგალია-ურუგვაი | 6:3 |
| ესპანეთი-არგენტინა | 2:0 |
| ბრაზილია-რუსეთი | 6:4 |
| საფრანგეთი-იტალია | 2:5 |

**ფრენბურთი**

| მსოფლიო ლიგა | |
|---|---|
| რუსეთი-იაპონია | 3:0 |
| აშშ-პოლონეთი | 3:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ტორონტო (მასტერსი) | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-სიოდერლინგი | 6:4, 6:4 |
| სიმონი-აკასუსო | 6:3, 6:4 |
| მარეი-ვავრინკა | 6:2, 0:6, 6:4 |
| როდიკი-ჩილიჩი | 4:6, 6:4, 4:6 |
| დავიდენკო-კიფერი | *შეწყდა* |
| ბლეიკი-ტურსუნოვი | *შეწყდა* |
| **WTA. ლოს ანჯელესი** | |
| აზარენკა-სტოსური | 6:4, 7:6 |
| ჩაკვეტაძე-ბამერი | 4:6, 7:5, 2:6 |
| **WTA. პორტოროჟი** | |
| ბოვინა-პინი | 6:3, 5:7, 7:6 |
| ერანი-სანტანჯელო | 6:2, 6:4 |
| სრებოტნიკი-გორგესი | 4:6, 2:6 |
| კირილენკო-ვინჩი | 6:1, 6:2 |

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# რეზაზადე პეკინში არ წავა



"ირანელ ჰერკულესად" წოდებული მძიმეწონოსანი ძალოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ჰოსეინ რეზაზადე** პეკინის ოლიმპიადაზე ტიტულის დასაცავად ვერ წავა. ამის მიზეზი კი ექიმების რჩევაა, რომლებმაც სიმძიმეების აწევა და სტრესი სასტიკად აუკრძალეს. ამის შესახებ, სპორტულ სამყაროს ირანის ახალი ამბების სააგენტომ აცნო.

*"დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ახალგაზრდა მეგობრები კარგად არიან მომზადებულნი და პეკინში ჩემს საქმეს ისინი გააკეთებენ – ოლიმპიურ ოქროს ირანში ჩამოიტანენ. მე კი ექიმებს ვუჯერებ, რადგან არ მინდა, ჩემი ჯანმრთელობა სერიოზული რისკის ქვეშ დავაყენო"*, - ამბობს რეზაზადე, ვინც 105 კგ-მდე წონით კატეგორიაში, ოქროს მედლები სიდნეისა (2000) და ათენის (2004) ოლიმპიადებზე მოიპოვა. გარდა ამისა, 2000, 2002 და 2004 წლებში, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, რეზაზადე მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნადაც დაასახელა.

"ირანელი ჰერკულესი" შარშან საავტომობილო ავარიაში მოჰყვა, სადაც მუხლები დაუზიანდა. მას შემდეგ, საერთაშორისო ტურნირებზე არ გამოსულა, თუმცა პეკინში ასპარეზობას მაინც გეგმავდა.

# 596 ამერიკელი პეკინში

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, პეკინის ოლიმპიურ თამაშებში 596 ამერიკელი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის 310 მამაკაცი და 286 ქალია. მამაკაცებს შორის გამორჩეული ვარსკვლავები არიან მოცურავე **მაიკლ ფელპსი**, ტანმოვარჯიშე **პოლ ჰემი** და მძლეოსანი **ტაისონ გაი**. ქალთა შორის კი გამორჩეულები იქნებიან მოცურავეები – **კეიტი ჰოფი** და ვეტერანი **დარა ტორესი**, ასევე მძლეოსანი **ელისონ ფელიქსი** და ტანმოვარჯიშეები – **შონ ჯონსონი** და **ნასტია ლიუკინი**.

ამერიკელები სპორტის 30 სახეობაში იასპარეზებენ, მათ შორის, ოლიმპიურ პროგრამაში პირველად შეტანილ მოტოქროსში, ღია წყალსა და ქალთა სტიპლჩეიზში. 1996 წლის შემდეგ, ამერიკელებს პირველად ეყოლებათ ბალახის ჰოკეის ქალთა გუნდი. ათენური პაუზის შემდეგ, ამერიკელები ბეისბოლის არენასაც დაუბრუნდებიან, თუმცა მათ გუნდში არ იქნებიან ვარსკვლავები. შეგახსენებთ, რომ მომდევნო ოლიმპიადაზე ბეისბოლი აღარ იქნება ოლიმპიურ პროგრამაში.

ამერიკელ ოლიმპიელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ხნიერი 41 წლის დარა ტორესია, ვისთვისაც ეს კარიერაში მეხუთე ოლიმპიადა იქნება. მის გარდა, მეხუთე ოლიმპიადაზე იასპარეზებენ მშვილდოსანი **ბაჩ ჯონსონი** და ველომრბოლი (საგზაო) **ჯორჯ ჰინკეიპი**.

**შეილა ტაორმინა** თანამედროვე ხუთჭიდში გამოვა. ის პირველი ქალი ოლიმპიელია, ვინც კარიერაში ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის მესამე სახეობაში იასპარეზებს. ადრე ის ცურვასა და ტრიატლონში ასპარეზობდა.

აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ყველაზე ხნიერი წევრი 58 წლის აფროსანი **ჯონ დეინ მესამეა**, ყველაზე ახალგაზრდა კი 15 წლის წყალში მხტომელი **მერი ბეთ დანიჩეი**, ვინც ათმეტრიანი კოშკიდან სინქრონულ ხტომებში, თავისსავე კბილა (მასზე რამდენიმე თვით უმცროსია) **ჰეილი იშიმაცუს** გაუწევს პარტნიორობას.

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი არ გამორიცხავს, რომ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა კიდევ შეიძლება შეიცვალოს, რაც მხოლოდ სპორტსმენთა ავადმყოფობის, ტრავმების, ან სხვა გამონაკლისი შემთხვევების გამო თუ მოხდება.

# გაიმ ლონდონზე უარი თქვა





100 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **ტაისონ გაი** ოლიმპიადამდე აღარსად იასპარეზებს. ლონდონში მას დიდი პრიზის სერიის ტურნირში, იამაიკელ მსოფლიოს ყოფილ რეკორდსმენ **ასაფა პაუელთან** ერთად უნდა ეასპარეზა, მაგრამ ტრავმის რისკის გამო, თავი შეიკავა.

*"ლონდონში გამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ ოლიმპიადამდე სულ სამი კვირაა დარჩენილი და არ მინდა, ჩემი ოლიმპიური გეგმები თუნდაც მცირე რისკის ქვეშ დავაყენო. ვიცი, სპორტის ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ ჩემი და პაუელის დუელს და მინდა, მათ განბილებისთვის ბოდიში მოვუხადო"*, - განაცხადა გაიმ, ვინც აშშ-ის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე, რომელიც თვის დასაწყისში, ქალაქ იუჯინში (შტატი ორეგონი) ჩატარდა, 200 მეტრზე სპრინტის ჰიტში ასპარეზობისას, ბარძაყის კუნთის მცირე ტრავმა მიიღო. სწორედ ამ ტრავმის რეციდივის შიშით, მან ლონდონურ ტურნირზე გამოსვლა არ ისურვა.

გაი პეკინში 100 მეტრზე სპრინტსა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე, გაიმ ასი მეტრი ყველა დროის საუკეთესო შედეგით (9.68 წამი) მოიგო, მაგრამ ის რეკორდად არ ჩაეთვალა, რადგან დასაშვებზე ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

ფორმულა 1. ახალი ამბები

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ნანდოს პრესაც განუდგა

**ფერნანდო ალონსოს** ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო, ესპანურ პრესასაც აევსო მოთმინების ფიალა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს საშინელი კრიტიკა დაატეხა თავს. პირენეელი ჟურნალისტები თვლიან, რომ დღეს ნანდო ისე ასპარეზობს, როგორც კარიერის დასაწყისში.

ესპანურმა პრესამ, რომელიც აქამდე ალონსოს ყველაზე მხურვალე მხარდამჭერი იყო, განწყობა გერმანიის გრანპრის შემდეგ შეიცვალა და ერთ-ერთმა გაზეთმა პირველ გვერდზე ასეთი სათაური გამოიტანა - "დაბრუნება "მინარიდიში". Diario AS გვატყობინებს, რომ "რენოს" შეფმა **ფლავიო ბრიატორემ**, ბოლო წლების განმავლობაში პირველად მიმართა კრიტიკული სიტყვებით ფერნანდოს - *"მე დღეს შენი არაფერი მომწონებია"*.

როგორც ჩანს, ალონსოსა და ფრანგულ საჯინიბოს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. ჭორების თანახმად, ფერნანდო ახალ გუნდს ეძებს, "რენოში" კი სურთ, პილოტი სექტემბრამდე გაერკვეს თავის გეგმებში.



რენოში განხეთქილებაა

ესპანურმა პრესამ ალონსო იმის გამოც გააკრიტიკა, რომ ჰოკენჰაიმში მოპოვებული მეორე ადგილი და სადებიუტო პოდიუმი არ მიულოცა თანაგუნდელ **ნელსინიო პიკეს**.

El Pais-ის ცნობილმა ჟურნალისტმა **მანელ სესარმა** განაცხადა, რომ ალონსომ პიკეს არა პირად საუბარში, არამედ სმს-ის საშუალებით მიულოცა წარმატება. *"როგორც ჩანს, ასეთი წარუმატებლობები მას დიდ ტკივილს აყენებს. ფერნანდოს არავისთან არ სურს წაგება"*, - წერს სესარი.

**გია თვალაბეიშვილი**

# ნიკოს ნიკი შეცვლის

როგორც ჩანს, BMW Sauber არ აპირებს ჭორების უარყოფას "უილიამსის" გერმანელ პილოტის, **ნიკო როსბერგის** მომავალი ტრანსფერთან დაკავშირებით. ამ სავარაუდო გარიგების შესახებ, ფორმულა 1-ის პადოკებში სულ უფრო ბევრს საუბრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის მიხედვით ნიკო როსბერგს კიდევ ერთი წელი აკავშირებს **ფრენკ უილიამსის** გუნდთან, ბევრი ამტკიცებს, რომ გაისად, გერმანელს უფრო კონკურენტუნარიანი მანქანის საჭესთან ვიხილავთ. რაც შეეხება BMW Sauber-ს, გუნდის ხელმძღვანელობა არც უარყოფს და არც ადასტურებს ამ ჭორებს. ის მხოლოდ აზუსტებს, რომ მომავალი სეზონისთვის შემადგენლობას აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში დაასახელებს.

საგულისხმო ეპიზოდი მოხდა გერმანიის სარბოლო უიქენდის დროს. ჟურნალისტებს დაურიგეს BMW Sauber-ის მიერ გავრცელებული კურიოზული დოკუმენტი. ეს გახლდათ გერმანელ **ნიკ ჰაიდფელზე** შედგენილი დოსიე, რომელშიც მოცემული იყო მისი კარიერის ყველა წვრილმანი დეტალი.





როსბერგი BMW-სკენ იყურება

ზოგიერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ, გულწრფელად გაიფიქრა, რომ BMW Sauber-ში ნიკის დღეები დათვლილია და რომ საჯინიბომ მადლობა გადაუხადა ჰაიდფელდს წლების განმავლობაში გაწეული სამსახურისთვის.

**გია თვალაბეიშვილი**

# ტორო როსო 2009: სენა და ბურდე

ამ სეზონის შემდეგ, ფორმულა 1-ს ეთხოვება ვეტერანი შოტლანდიელი **დევიდ კულტჰარდი**. ისიც ცნობილია, რომ "რედ ბულში" მის ადგილს გერმანელი **სებასტიან ფეტელი** დაიკავებს. შესაბამისად, ვაკანტური გახდა ერთი ადგილი "ტორო როსოში".

ჟურნალისტები ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ საგაისოდ, ამ საჯინიბოს ხელმძღვანელობა ორი ახალგაზრდა პილოტით - **სენათი** და **ბუემით** დააკომპლექტებს გუნდს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ტორო როსოს" ამჟამინდელ პილოტს, **სებასტიან ბურდეს** ახალი გუნდის ძებნა მოუწევს.

თუმცა გუშინ, ჟურნალისტებს გაესაუბრა "ტორო როსოს" თანამფლობელი, ლეგენდარული ავსტრიელი **გერჰარდ ბერგერი**. მან განაცხადა, რომ 2009 წელს, მის გუნდში "ახალგაზრდა და გამოცდილ პილოტთა" ნაზავს ვიხილავთ. ჟურნალისტებმაც მაშინვე გამოიტანეს დასკვნა - "ტორო როსოს" შემადგენლობას ბრუნო სენა და სებასტიან ბურდე დააკომპლექტებენ.

**გია თვალაბეიშვილი**

ფოტო-ინფო





დიადი **ჯორჯ ბესტის** შვილი, რომელსაც კალუმი ჰქვია, ბრიტანული MTV-ის რეალითი-შოუს მონაწილე გახდა...